სახალხო ფურცელი

მ. და ს. საბჭოების ყრილობა: რეზოლიუციები ეროვნული საკითხისა და ფინლანდიის შესახებ.—ყრილობამ აღიარა ფართო პოლიტიკური ავტონომია და მოუწოდებს მთავრობას გამოსცეს დაუყოვნებლივ დეკლარაცია ყოველი ერის უფლება სრული თვით-გამორკვევისა.—ფინლანდიას უნდა მიენიჭოს სრული [illegible]ია.—ყრილობა მხარს უჭერს უკრაინის დემოკრატიას [illegible] მიის განსახორციელებლად.

№ 898

კვირა, 25 ივნისი 1917 წ.

№ 898

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო ფურცელში“ (კ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ფასი 10 კაპ.

ტელეფონი 12—29

მწუხარებით გულმოკლულნი ალექსანდრა სოლომონის ასული, მიხეილ, გიორგი, ესტატე მიხეილის ძენი, ნინო სოლომონის ასული, ვალიჩკა და ლიზა მძინაროვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი ძვირფასი ქმარი პირველისა, მეორეთა მამა, მესამისა მამამთილი და უკანასკნელთა პაპა

დეკ. მიხეილ ესტატეს ძე მძინაროვი.

ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაესწრება საქართველოს მოსაყდრე ლეონიდე, დილის 8-ნახევ. ს., დღეს, 25 ივნისს, წესის აგება და დასაფლავება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში. 756

ღრმად დამწუხრებული ცოლშვილი: ქვრივი პელაგია სიმონის ასული, შვილი: ელპიტე, ათანასე, ნიკანორა, მაკარია, იაკინთე, პროკოფი და ვარასი, რძალი მარიამ კონსტანტინეს ასული მასხარაშვილები და სიძე პეტრე დალაქიშვილი განუსაზღვრელ ვაებაში მყოფნი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

გრიგოლ სიმონის ძის მასხარაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება 2 ივლისს ამა 1917 წ. დღით კვირას დილის 12 ს. ს. პატარა ონის წმ. გიორგის ეკლესიაში (რაჭა). 753

ახალი დიდი ცირკი ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვების

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი ახლად შეკეთებ. კაპიტალური ხაზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00

დღეს, 25 ივნისს, გაიმართება

გრანდიოზული სადღესასწაულო წარმოდგენა

წმინდა შემოსავალი გადაიდება ჯარისათვის წიგნის მისაწოდებლად. საჭიროა წარმოდგენას დაესწროთ, რათა ამ წმინდა საქმეს დაეხმაროთ.

ჭიდაობს 6 წყვილი: 1. საბა პეტკოვიჩი და სმირნოვი, 2. შაჟნილაბიანი № 2 და პუგაჩოვი, 3. აბერგი და ქილინი, 4. სტერსი და ჰანნიბალი, 5. ჯოე-მორა და ერმაკოვი, 6. ზაგორუიკო და მაკაროვი. 759

საჭიროა ყველასათვის

სიძვირისა გამო ჩვენ დავამზადეთ საეკონომიო და ლამაზი

საზაფხულო კაცის ტანისამოსები

მკვიდრ და ლამაზ ლურჯ მატერიისაგან, სარჩულიც აქვს. შეკერილიც მკვიდრად არის. პიჯაკიც და შარვალიც ლამაზია.

შეკვეთის დროს საჭიროა სახელოების ზომა, ტანისა, ნაბიჯის სიგრძე. კოსტიუმის ფასია 31 მ. 50 კ. ზე 10 მ. თითო კოსტიუმზე. დანარჩენი ფასდადების დროს. მიჰმართეთ: მოსკოვი, საკომერციო შეს. № 311, ქ. გურკიჩს განყ. 10. 2051

გამოვიდა საკოოპერაციო ბიბლიოთეკის № 11:

„50 წელიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში“,

ცნობილ პეტროგრადელ კოოპერატორის მ. ლ. ხეთსინისა, თარგმანი ი. გ—აიასი, გამოცემა ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციისა. შეიცავს 84 გვ., იყიდება 2 აბაზად. კოოპერატივებს და წიგნის მაღაზიებს ეთმობა 20—25 პროც., დაკლებით, არა ნაკლებ 25 ცალისა.

მისამართი: Кутаисъ, Редакція Грузинскаго журнала „Кооперація“. აქედანვე შესაძლოა კოოპერატივების სანიმუშო წესდებათა, საანგარიშო დავთრებისა და საწევრო წიგნაკების გამოწერა. იგზავნება „კოოპერატივები ევროპაში“. 741

განცხადება

თამბაქო—საბაკალეინო და ხილის წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხსენებულ კავშირის საწყობი იხსნება ორშაბათს, 26 ივნისს, დილის 8 ს. გაიყიდება ყველა ადგილობრივ ქარხნების; ამხანაგებს ვსთხოვთ შემდეგის წესით მიიღონ საქონელი:

ორშაბათობით	1	და	2	უბნებმა.
სამშაბათობით	3	და	4	„
ოთხშაბათობით	5	და	6	„
ხუთშაბათობით	7	და	8	„
პარასკეობით	9	და	10	„
შაბათობით	11	და	12	„

ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვთ თან იქონიონ ძველი საქარხნო წიგნაკები ყველა ქარხნისა. საქონელი გაიყიდება $1/2$% უფრო ძვირად, ვიდრე ქარხნებში. საქონლის საწყობი მოთავსებულია: პატარა ვანქის ქ. № 2, სახ. ქართველიშვილისა მე-4 უბანში.

გამგეობა.

749

××××××××××××××××××××××××

ამხანაგებო და მოქალაქენო! შეასწორეთ ქალაქის საარჩევნო სიები, არ დაჰკარგოთ საარჩევნო ხმა!

××××××××××××××××××××××××

ახალი კლუბის შენობა

ხუთშაბათს, 29 ივნისს,

ქართველთა სამხედრო კავშირი

ჰმართავს

საღამოს და სეირნობას

სცენაზე—მოხსენება, წარმოდგენა, ცოცხალი სურათები, სიმღერები და ცეკვა.

მონაწილეობას მიიღებენ—მომხსენებელი ი. გედევანიშვილი (თემა: „მუდმივი ჯარი და სახალხო მილიცია“), ქართული დრამის მსახიობნი, მ. კავსაძის ხორო, ლეკურის საუკეთესო აღმასრულებელნი და სხვ. ბაღში მოწყობილი იქნება სხვა და სხვა გასართობები: პტი-შვო, ლატარეია და სხვა. დადგმული იქნება კიოსკები. ახდილ სცენაზე გაიმართება დივერტისმენტი მახო აბაშიძის მონაწილეობით. სეირნობის დროს დაუკრავს სიმფონიური, ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი.

სეირნობის დასაწყისი საღამოს 7 ს., ✦ ხოლო თვით საღამოსი 9 ს.

თეატრის ბილეთების ფასი 10 მ.-დან 2 მ.-დე. ბაღში შესასვლელი 1—50 კ., ჯარის კაცთათვის შესვლა შეღავათიან პირობებით.

სამხატვრო ნაწილს განაგებს შალვა დადიანი.

საღამოს გამგე კომისია.

სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატების საბჭო

სთხოვს ბ. ბ. ვაჭრებს და მრეწველებს ქ. ტფილისისას მობრძანდნენ სავაჭრო-სამრეწველო კლასების საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 25 ივნისს დილის 11 ს. ტფილისის საკრებულოს საზაფხულო შენობაში (მიხეილის პროსპექტი).

განსახილველი საგანია: ქალაქის თვითმართველობის არჩევნები და მრავალი გადაუდებელი საკითხები.

2044 სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატების საბჭო.

ანონსი:

დიდი მთავრის ქ. კიროჩნის კუთხეში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების პირდაპირ მოკლე დროში

გაიხსნება მთელ რუსეთში უდიდესი სამეცნიერო ისტორიული მუზეუმი

ანატომიურ და ზოოლოგიურ განყოფილებით, მხეცებით და სხვა ცხოველებით.

738 დირექცია კირიჩენკო. გამგე რეინსკი.

ქართველთა საპარკინგო საზოგადოება

„ამირანი“

იწვევს თავის წევრებს საერთო კრებაზე ტფილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში ხუთშაბათს, 29 ივნისს დილის 10 ს.

იქვე მოხდება ჩაწერა ახალ წევრთა.

ქართული სამხედრო კავშირი. 2049

აფთიაქების მორიგეობა

მეაფთიაქეთა კავშირი ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით აწესებს ისე, როგორც სხვა ქალაქებშია სარაიონო მორიგეობას ღამითა და კვირაობით. მორიგეობა იწყება ამ ივნისის 23-დან

23 ივნისიდან 1 ივლისამდე მორიგეობენ:

1) აფთიაქი— ა. ფ. გეინესი—ერევნის მოედანზე.
2) „ — ქალაქისა (გამგე ჯანელიძე)—გოლოვინის პროს.,
3) „ — ა. ლიბიხისა—ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
4) „ — მეფისაშვილისა—ავლაბარში, კახეთის ქუჩა.
5) „ — აბრამსონისა—მიხეილის ქუჩაზე.
5) „ — იაკუბოვიჩისა—ჩერქეზიშვილის ქუჩა.
7) „ — კოჩინოვისა—დიდუბეში.

ყველა დანარჩენი აფთიაქი გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ღიაა დილის 9-დან საღ. 10 ს.-მდე, კვირაობით კი დაკეტილია მთელის დღით. 736

ტფილისი, 25 ივნისი 1917 წ.

ეროვნული საკითხი მ. და საბ. ყრილობაზე.

მთელი რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების ყრილობამ ეს რამდენიმე დღეა სექციებში გადაიტანა მუშაობა. ეროვნულ სექციას უკვე დაუმთავრებია საქმე და შეუმუშავებია რეზოლიუციის პროექტი, რომელიც იბეჭდება დღევანდელ გაზეთში.

სექცია წინააღმდეგია, რომ რომელიმე ერმა დამფუძნებელ კრებამდის განახორციელოს ავტონომიური მართველობა, მაგრამ საერთოდ ეროვნულ საკითხს ფხიზლად უყურებს და სავსებით გაუთვალისწინებია, თუ რა საფრთხე მოელის რუსეთს ერთა საკითხის გადაუწყვეტელობით. სექციის რეზოლიუცია გადაჭრით ამბობს: რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა მოითხოვოს დამფუძნებელ კრებაზე ერების უფლებათა უზრუნველსაყოფად ფართო პოლიტიკური ავტონომია ყველა იმ ოლქისათვის, რომელსაც თავისებური ეროვნულ-ეთნოგრაფიული ან სოციალურ-ეკონომიური ხასიათი აქვს.

ამასთანავე სექციას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ დროებითმა მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს დეკლარაცია, რომ რუსეთში მცხოვრებ ყოველ ერს ეკუთვნის სრული უფლები თვითგამორკვევისა და შეუძლია კიდეც გამოეყოს რუსეთს, თუ მოისურვებს. ეს მეტად გონივრული, სამართლიანი, წმინდა დემოკრატიული შეხედულებაა. არ არის ერის თავისუფლება, თუ იგი შემოფარგლულია. თავისუფალია ერი მხოლოდ მაშინ როცა არავინ უკრძალავს, როგორც უნდა ისე მოაწყოს თავისი ბედი—უნდა ჩამოშორდეს იმ სახელმწიფოს რომლის საზღვრებში დღეს იმყოფება, უნდა ავტონომიურად შეუკავშირდება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია უზრუნველყოფილი სრული თავისუფლება ყოველი ერისა, მხოლოდ ეს დაამყარებს ერთა თავისუფალს კავშირს, მხოლოდ ამაზე შეიძლება აშენდეს მომავალი განახლებული რუსეთი.

ამ გზას რომ თავიდანვე დასდგომოდა დროებითი მთავრობა, უეჭველია რევოლიუციის საქმე დღეს გაცილებით წინ იქნებოდა და არც უკრაინასა და ფინლიანდიაში გაამწვავებდა მდგომარეობას: მარტო მსგავსს პრინციპიალურ გამოცხადებას მოითხოვდნენ უკრაინელები, მაგრამ მთავრობამ უდიერად უარი უპასუხა.

რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე იმასაც, რომ დროებითმა მთავრობამ ახლავე საგანგებო ეროვნული საბჭო მოიწვიოს მასალების დასამზადებლად დამფუძნებელი კრებისათვის და ერთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ეს მეტად საჭიროა, რომ დამფუძნებ. კრებამ მალე და სავსებით გადაჭრას ერების საკითხი.

როგორც გუშინდელმა დეპეშამ შეგვატყობინა, ყრილობას სრულიად მიუღია სექციის რეზოლიუცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ყრილობა მხარს უჭერს ფინლანდიის დემოკრატიას, უცხადებს უკრაინელ ხალხს, რომ ყოველის ღონით დაეხმარება უკრაინის ავტონომიის განსახორციელებლად და მოუწოდებს მთავრობას, ეხლავე მიიღოს ზომები და შეუთანხმდეს უკრაინელ ერს.

მ. და ს. დეპ. საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილება მეტის მეტად ძვირფასია რუსეთის ერებისთვის ესაა ხმა რევოლიუციონურ დემოკრატიისა, რომელიც მესვეურობს და ხელმძღვანელობს დღეს რევოლიუციას, და მისი ასეთი განაჩენი საყოველთაო აღფრთოვანებას გამოიწვევს.

ნარკვევი

ტფილისის ბოლშევიკების გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩიში“ დაბეჭდილია მცირე შენიშვნა სათაურით: ,,საინტერესო ციფრები‘‘. გაზეთი ამბობს:

ამიერ-კავკასიის საოლქო ყრილობა მენშევიკების ორგანიზაციებისა დამთავრდა. გაზეთ ,,ბორბას‘‘ სიტყვით ყრილობაზე ყოფილან პარტიის 60 ათას წევრის წარმომადგენელნი.

სრულიად რუსეთის მენშევიკთა კონფერენციაზე იყვნენ წარმომადგენელნი მხოლოდ 42 ათასისა.

გამოდის რაღაც კურიოზი, მათემატიკური აბსურდი: ნაწილი მთელზე დიდია. მენშევიკების ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია უფრო დიდია, ვიდრე სრულიად რუსეთისა.

რაშია საქმე?

არამც თუ ამიერ-კავკასიაში, არამედ მთლად რუსეთში ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრთაგანია ბაქო, რომელსაც 6 წარმომადგენელი ჰყავდა. ხოლო იმ ქალაქებსა და დაბებსაც, სადაც არავითარი მრეწველობა არის—მრავალი წარმომადგენელი ჰყავთ. მაგალითად დ. ზუგდიდს—11 დელეგატი, ქუთაისს—12; გურიას—28. ან იმდენივე ჰყავდათ, რამდენიც ბაქოს: თელავს—6; ყვირილას—4; გორს—4; სიღნაღს—5; ს. ვანს—4, სოხუმს—6 და სხვ. აქედან ერთია ცხადი: ამიერკავკასიის მენშევიკების ორგანიზაცია არის უმთავრესად ქართველი გლეხების ორგანიზაცია.

რევოლიუცია და ერები

უკრაინის ავტონომიის გარშემო.

პეტროგრადში საგანგებო კრება ჰქონდათ უკრაინელ ორგანიზაციებს და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს ცენტრალური რადას გამოცემულ უნივერსალის შესახებ:

„მივესალმებით უკრაინის ცენტრალურ რადას გამოქვეყნებულ უნივერსალს, რომელიც არის უფლებრივი გამოხატულება თავისუფალი უკრაინის ერის რევოლიუციონური შემოქმედებისა, და გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ავტონომიური და რუსეთთან ფედერატიულად შეკავშირებული უკრაინა არის და იქნება მტკიცე სიმაგრე რევოლიუციისა და დაეხმარება რუსეთის სხვა ერებსაც მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად“.

რეზოლიუციას ხელს აწერენ მუშ. და სალდათთა დეპუტატ. საბჭოების ყრილობის უკრაინული სოც. ფრაქცია.

მთელი რუსეთის გლეხთა დეპუტ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის უკრაინ. ფრაქცია.

უკრაინის სოც.-დემოკრატ. მუშათა პარტიის და სოც.-რევოლიუციონერების პეტროგრადის კომიტეტები.

პრეზიდიუმები: პეტროგრადის უკრაინელ სამხედრო საბჭოსი, პეტრ. მ. და ს. დეპუტატების საბჭოს უკრაინულ ფრაქციისა და უკრაინულ სოციალისტურ კლუბის პარტიისა.

რევოლიუციის დეპეშები

მუშათა და სალდათთა ყრილობის რეზოლიუცია ეროვნულ საკითხზე.

პეტროგრადი. 21 ივნისი. სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა

დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლების ყრილობამ 20 ივნისის სხდომაზე მსჯელობა იქონია დამფუძნებელ კრების „ეროვნულ საკითხისა და ფინლანდიის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ აღიარებულ იქმნა, რომ აუცილებლად საჭიროა დამფუძნებელი კრება უეჭველად [illegible] სექტემბერს მოიწვიონ.

ერ[illegible] შესახებ მიიღეს [illegible] და სხვათა შო[illegible] იგივე წერილი დაცია:

1) [illegible] ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა [illegible]ჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარის დამკვიდრებაში. ამიტომ ყველა ერის საზრუნავი უნდა იყოს რუსეთის დამფუძნებელ კრების სწრაფად მოწვევა. მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლიან ახალ დემოკრატიულ რუსეთის შექმნა და რუსეთში მცხოვრებ ერების უფლებათა უზრუნველყოფა.

2) ამასთანავე ერთად, რევოლიუციის მონაპოვართა გასამაგრებლად საჭიროა შეკავშირება ყველა ერის მშრომელ დემოკრატიისა და აგრეთვე საჭიროა დეცენტრალიზაციის გზაზე დადგომა და ყველა ერის თვითმოქმედების გაღვივება.

3) თავისუფალ რუსეთის ეროვნებათა უფლების უზრუნველსაყოფად რევოლიუციონური რუსეთი ეცდება დამფუძნებელ კრებაზე მიენიჭოს ფართო საპოლიტიკო ავტონომია იმ ოლქებს, რომელნიც განირჩევიან ნაციონალურ-ეთნოგრაფიულად, ხოლო ძირითად კანონების ძალით უმცირესობის უფლებანი უნდა უზრუნველყოფილი იყოს.

4) ეროვნულ საკითხის დამფუძნებელ კრების მიერ საბოლოოდ გადაწყვეტამდე, ყრილობა მოუწოდებს დროებითს მთავრობას შეუდგეს დაუყოვნებლივ შემდეგი ზომების განხორციელებას: ა) დროებითმა მთავრობამ უნდა გამოსცეს დეკლარაცია, რომ რუსეთის ყველა ერს აქვს უფლება თვითგამორკვევისა (სრულ განშორების უფლებაც), რომელსაც განახორციელებს დამფუძნებელი კრება; ბ) უნდა გამოიცეს დეკრეტი ენათა თანასწორობის შესახებ (რუსული საერთო სახელმწიფოებრივ ენად დარჩება). ყველა მოქალაქეს უფლება უნდა ჰქონდეს მშობლიურ ენით ისარგებლოს ყველგან, სკოლასა, სასამართლოსა, თვითმართველობასა და სხვ. გ) დროებით მთავრობასთან უნდა დაარსდეს ეროვნულ საქმეთა საბჭო, სადაც იქნება ყველა ერის წარმომადგენელი, რათა მოამზადდეს დამფუძნებელ კრებისათვის მასალები და გამონახოს საშუალებანი ერთა შორის თანხმობის ჩამოსაგდებად და შინაურ საქმეთა გადასაწყვეტად.

5) მთელი რუსეთის დემოკრატიას მოუწოდებთ ხსენებულ პროგრამის მიხედვით ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას ხელი შეუწყოს. არავინ უნდა მოინდომოს თავის უფლებათა განხორციელება დამფუძნებელ კრებამდე. სეპარატიული ნაბიჯები რევოლიუციას ასუსტებს.

ფინლანდიის შესახებ ყრილობამ დაადგინა, რომ ფინლადიას უფლება აქვს დამოუკიდებლობაც მოითხოვოს. მთავრობამ უნდა იზრუნოს განახორციელოს ფინლანდიის ფართო ავტონომია. ხოლო უნდა ითქვას, რომ დამფუძნებელ კრება გადასწყვეტს საბოლოოდ ამ საკითხს.

პრეზიდიუმის აზრით ყრილობა სამ დღეში გათავდება.

შრომის ჯგუფელების ყრილობაზე.

პეტროგრადი, 21 ივნისი შრომის ჯგუფელების ყრილობაზე მსჯელობა იყო სხვა და სხვა პროვინციებიდან მოსულ ამბების შესახებ. კრონშტანტელი დელეგატი იუწყება „ბოლშევიკების“ გავლენა კრონშტატში საგრძნობლად შესუსტდაო.

შრომის ჯგუფის პარტიას შეუძლია ახლა კრონშტატში გავლენა მოიპოვოსო. ცენტრალურ კომიტეტს უმოქმედობა შესწამეს. ყრილობის რეზოლიუციაში კი მოხსენებული იქმნა ცენტრალური კომიტეტის პოზიცია. ბოლოს მსჯელობა იქონიეს ნაციონალურ საკითხზე. გადაწყდა მოითხოვონ დროებით მთავრობასთან საგანგებო კომიტეტი დაარსონ ნაციონალურ საკითხის სათანადო მოსაგვარებლად.

„ბოლშევიკები“ ფინლანდიაში.

ჰელსინგფორსი, 18 ივნისი. დღევანდელ დემონსტრაციაში დისციპლინა არ დარღვეულა. დღის ორ საათზე აუარებელი ხალხი მიაწყდა „ბრატსკაია მაგილას“ აქ გაიმართა მიტინგი წარმოთქმულ იქმნა მრავალი სიტყვა. ორატორები მოუწოდებდნენ ხალხს „ბოლშევიკებს“ ძილით ხმაო. მეზღვაურთა ერთ ჯგუფს შავი დროშა აეფრიალებია. დროშაზე ეწერა: სიკვდილი ბურჟუებს“. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ ზოგიერთი ფინლიანდიელი მუშებიც.

გლეხები ფედერატიულ რესპუბლიკას მოითხოვენ.

ვიტებსკი, 17 ივნისი. გლეხთა საგუბერნიო ყრილობამ დაადგინა; საუკეთესო წყობილება მრავალი რუსეთისათვის დემოკრატიული ფედერატიული წესწყობილებაა იქნებაო.

ამავე ყრილობამ მოითხოვა ბელორუსიის ავტონომია, ერთა სრულუფლებიანობა, სკოლების ნაციონალიზაცია. აგრარულ საკითხს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს. მიწებს გაახაწილებს ბელორუსთა ცენტრადა. მოთხოვნილ იქმნა საოლქო კრება სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. სამაზრო ერობის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს. ომი უნდა დაბოლოვდეს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავით ომი უნდა გაგრძელდეს ყველა ჯარში უნდა წავიდეს. პურის მონოპოლიის შემოღება საჭირო. საჭიროა სხვა საგნებზედაც დაწესდეს ნიხრის ნორმა. მიწის მხვნელთაც მხარი უნდა დაუჭირონ თავისუფლების სისხს.

მ. და ს. საბჭოების ყრილობა და უკრაინა.

პეტროგრადი, 22 ივნისი. მ. და ს. საბ. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია უკრაინის საკითხის შესახებ; ყრილობა ჰპირდება უკრაინის რევოლუციონურ დემოკრატიას დახმარებას უკრაინის დემოკრატიული ავტონომიის განხორციელებისთვის. ავტონომიის საბოლოო დამყარება შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ყრილობა წინადადებას აძლევს მთავრობას შეუთანხმდეს უკრაინის რევოლ. დემოკრატიას, რათა დაწესებული იქნეს უკრაინის დროებით ორგანო მომავალი ავტონომიის წესების შესამუშავებლად.

მ. და ს. საბ. ყრილობა შრომის შესახებ.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია. რომ დაუყონებლივ იქნეს გამოცემული დეკრეტები კოალიციის სრული თავისუფლების, 8 საათის დღის, სამუშაო ქირის მოწესრიგების, მომრიგებელ კამერების, საფაბრიკო ინსპექციის რეორგანიზაციის და უმუშევართა შესახებ მიიღეს აგრეთვე რეზოლუცია სოციალური დაზღვევისათვის.

პრესის აზრი შეტევაზე.

პეტროგრადი. შეტევის შესახებ დღეს პირველად გამოსთქვეს თავიანთი აზრი სოციალისტურმა გაზეთმა „ზემლია ი ვოლია“, „ნოვ. ჟიზნი“ და „პრავდამ“. „ზემლია ი ვოლია“ სწერს: „ჯერ კიდევ რამოდენიმე დღის წინად საკამათო საკითხად ითვლებოდა რა და რა პოლიტიკური პირობები იქნებოდა საჭირო რომ შეტევის დაწყება შესაძლებელი გამხდარიყო. დღეს ამგვარ რამეებზე ლაპარაკი უნაყოფოა. მსჯელობა იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა რევოლუციის მიერ აკრძალულ მიჯნის გადასვლა, დღეს მაგნეც არის. ყოველი ცდა უკვე მომხდარ ფაქტის განსჯისა და აწონ-დაწონისაკენ მიმართული გაართულებდა და არევ-დარევდა რევოლუციონური რუსეთის ისედაც მძიმე ცხოვრებას.

„ნოვაია ჟიზნის“ აზრით ყველა პარტიები და თვით ბოლშევიკებიც იმ აზრის არიან, რომ დაწყებული საქმე უნდა დავაბოლოოთ კიდევაც.

სულ სხვანაირად მსჯელობს „პრავდა“: მისი აზრით ეს წვრილ ბურჟუაზიულ მიდრეკილების მენშევიკებისა და ს. რევოლიუციონერების პოლიტიკამ თავს მოახვია ომი უმრავლესობას.

დემოკრ. ფედერატიული რესპუბლიკა.

პეტროგრადი, 21 ივნისი. სახალხო სოციალისტების ყრილობას მსჯელობა ჰქონდა რუსეთში დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარების შესახებ ამ წყობილებას ფართო დეცენტრალისტური პრინციპი უნდა დაედვას სარჩულად. მხოლოდ შრომის ჯგუფელებს არ ეთანხმება პარტია ზოგიერთ მოსაზრებებში. ხმის უმრავლესობით აღიარებულ იქმნა: ერების ნაციონალურ მისწრაფებათა საზღვრად. მხოლოდ ფედერაცია უნდა იქმნასო.

მ. და ჯ. კ. დეპ. საბჭოების ყრილობაზე.

პეტროგრადი. 21 ივნისი, მუშათა და ჯ. კ. დეპ. საბჭოების ყრილობაზე აღმასრულებელი კომიტეტის ერთმა წევრმა რიგს გარეშე აღნიშნა პეტერგოფში შეტაკება მოსულიათ ომის გაგრძელების მოხრეთა და მოწინააღმდეგეთ. ინცინდენტი სისხლისღვრით დაბოლოვებულა. მოისმინეს ორენბურგელ ყაზახ რუსთა მისალმება ორენბურგელები აცხადებდნენ პეტროგრადში მომხდარი ყაზახთა ყრილობა ვერ გამოხატავს მაშვრალი ყაზახობის გულისთქმასო. ამავე სხდომაზე გრომანმა აღნიშნა მოსალოდნელია სრული ეკონომიური კატასტროფა თუ მრეწველობის და სურსათ-სანოვაგის საქმე სახელმწიფოებრივმა კონტროლმა არ მოაგვარაო. ყრილობაზე „ბოლშევიკებმაც“ წარმოადგინეს რეზოლიუცია მაგრამ იგი უარყოფილ იქმნა. დელეგატთა ერთმა ჯგუფმა წარმოადგინა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამი იყო: მთავრობამ ყურადღება მიაქციოს დონეცის რაიონებს, სადაც მომავალი კატასტროფის ნიშნები ახლავე თვალსაჩინოაო.

ომის დეპეშები

მთავარ შტაბის ცნობა.

პეტროგრადი, 23 ივნისი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. ზლოჩევის მიმართულებით ორივე მხრით არტილერიის გაძლიერებული სროლაა. რიბნიკის ჩრდილო-დასავლეთით, ძიკელნთან, მთელი რიგი შეტაკება მოხდა ჩვენსა და მოპირდაპირის შორის. მოპირდაპირის არტილერია მკაცრად უშენდა ჩვენს პოზიციებს ლიპიცა გურნას და ლიპიცა დოლნას აღმოსავლეთით. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლაა.

რუმინიის ბრძოლის პირი. ბილესჩის რაიონში გერმანელებმა თეთრი დროშები ააფრიალეს და ჩვენს ჯარის კაცებს დამმობილებისთვის იწვევდნენ. მაგრამ ჩვენმა ჯარმა არტილერიის სროლით უპასუხა. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლაა.

კავკასიის ბრძოლის პირი. საყიზის მიმართულებით, ვისტანის რაიონში და მდ. აზიშირვანით ჩვენი ჯარი ებრძვის ოსმალეთის ჯარს, რომელსაც მაშველი რაზმები მოემატა. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლაა.

პარიზი, 15 ივნისი. ოფიციალური უწყება, სერნის რაიონში მტერი გამძვინვარებული იერიშით შემოიჭრა ჩვენს სანგრებამდის (კორბანის ახლოს) მაასის ახლოს გერმანელებს უნდოდათ ჩვენი ავანგარდების შეპყრობა მაგრამ მდ. მაასის მარცხენა ნაპირებისაკენ დაიხიეს.

პარიზი, 22 იანისი. ოფიც. უწყება. მორანბეილიერის რაიონში გაცხარებული საარტილერიო დუელი სწარმოებს. ბრძოლაა პრიუნესა და „304“ მიდამოებში, დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი არაფერი მომხდარა.

ლონდონი, ოფიც. უწყება მესოპოტ. ბრიტ. მთავარ სარდლის ბანაკიდან. ოსმალოთა რეგულიარული ჯარები თავს დაესხნენ ბაკის მიმავალ ქარავანს მაგრამ უკუ ვაქციეთ. სანიტარულ პირობების გაუმჯობესობამ ავადმყოფთა რიცხვი შემცირა.

ლონდონი, 22 ივნისი, ოფიც. უწყება. ჩრდილოეთ ზღვაში ერთი ბრიტანული კონტრ ნაღმოსანი წააწყდა მინას და დაიღუპა.

ახალი ამბავი

სახელმწიფო თეატრი და ტფილისის დრამატიული საზოგადოებანი. თანახმად სახელმწიფო თეატრის სამუსიკო-სამინისტრაციო ნაწილის გამგის ზ. პ. ფალიაშვილის წინადადებისა ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა დიდმარხვისა და საზაფხულო სეზონისთვის სახელმწიფო თეატრი კერძო ანტრეპრენიორს აღარ მისცა იმ მოსაზრებით, რომ ამ დროს თეატრში წარმოდგენები მართონ ქართულმა, სომხურმა და თათრულმა დრამატიულმა საზოგადოებებმა.

◆ **სახელმწიფო თეატრი და ტფ. ქართული დრამატ. დასი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარეს ი. ბარათაშვილს და თავმჯდომარის ამხანაგს ნ. ერისთავს მიენდო, აღძრან შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის წინაშე. რათა მომავალ სეზონში ქართულ დასს სახელმწიფო თეატრში დღეები დაეთმოს.

◆ **აღმოსავლეთ საქართველოს მონასტერთა წარმომადგენელთა კრებამ,** რომელიც უკვე დასრულდა, საქართველოს ქათალიკოსის მოსაყდრეს ეპისკოპოს ლეონიდეს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც მიულოცა ივერიის ეკლესიის განთავისუფლება ტყვეობიდან და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

◆ **კიევის უნივერსიტ. სტუდ.** მედ. ვ. ნათაძემ დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა. მპოვნელს ვსთხოვ შეიტანოს სახ. ფურ. რედაქციაში.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში.** 27 ივნისს, სადეპუტატო საკრებულოში საღამოს 7 ს. დანიშნულია კრება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სატერმინოლოგიო და სალიტერატურო სექციისა. მოხდება არჩევნები სექციის თავმჯდომარის და მდივნისა, და საგანგებო მოხსენება სექციის ფუნქციათა დაყოფაზე.

◆ **პროტესტი იმერეთის სამღვდელოებისა.** კავკ. საგანგებო კომიტეტმა იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის არქ. ნესტორისაგან მიიღო დეპეშა შესახებ ტფილის. მთავარ-ანგელოზის ეკლესიის საქმეების გამო.

◆ **სალდათა უფლებანი ქალაქის არჩევნებში.** კავკ. საგანგებო კომიტეტმა განუმარტა რომ სალდათებს, რომელთაც ჯერ 20 წელი არ შესრულებიათ, ერთნაირი უფლება აქვთ ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

◆ **მორიგი კრება ქართველ ექიმთა** და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა მოხდება ორშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 8 ს., დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, ბელინსკის ქუჩა 2, კრების პროგრამა: 1. წარსულ მორიგ კრების განაჩენის წაკითხვა და დამტკიცება, 2. საადმინისტრაციო ნაწილი: ა) დებულების შემუშავება ქართველ ექიმთა მოსაწვევად ქ. ტფილისში და წევრების ამორჩევა ბიუროში მომავალ საექიმო დახმარების მოსაწყობად საქართველოში, ბ) ახალ წევრების ამორჩევა.

◆ **სამედიცინო ნაწილის** გამგედ კავკასიის ქალაქთა კავშირისა დაინიშნა ექიმი ა. ი. ოგანჯანიანი.

◆ **ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის** წლიური კრება 21 ივნისს დაიწყო და 24 ივნ. დასრულდა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სვ. მაჭავარიანი (სოციალისტ-ფედერალისტი), ხოლო მის ამხანაგებად—ს. რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი), და ტერ-ოვაკიმიანცი (დაშნაკცაკანი). კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წარსულ წლის ანგარიში, წმინდა მოგება 6,000 მან. სათადარიგო თანხაში გადაირიცხა. დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე 1917 წ. ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც შემოსავალი ნავარაუდევია 400,000 მან., ხოლო ხარჯი 380,000 მ. ამის შემდეგ კრებამ შესცვალა კავშირის ზოგიერთი მუხლი, თანახმად შეცვლილ უფლებისა კავშირს უნდა დაერქვას

რევოლიუციის დღენი საქმენი

გლეხი.

გლეხების დღეებია, გლეხების კრებებია—გლეხები თათბირობენ, უფრო გლეხებისთვის თათბირობენ. გლეხი გულია, რომლის გარშემო შემოკრებილია ეხლა ყველას ყურადღება. რევოლიუციას არ შეუძლია გვერდი აუქციოს გლეხობას, გლეხობას არ შეუძლია დარჩეს რევოლიუციის გარეშე. რევოლიუცია ვერ იქნებოდა ნამდვილი რევოლიუცია, თუ არ დააკმაყოფილებდა მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის საჭიროებას, რევოლიუცია ვერ მოიპოვებდა ფართო ხალხოსნურ ხასიათს, თუ მოძრაობაში მონაწილეობას არ მიიღებდა გლეხობა. რუსეთი უმთავრესად გლეხთა ქვეყანაა და როგორ შეიძლება აქ ძირითადი ცვლილებების განხორციელება, თუ მებრძოლებს მხარში არ მიჰყვნენ გლეხები?

ამიტომ ადვილად გასაგებია, რომ რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე რევოლიუციონერები ძალზე დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ შეხედავდნენ გლეხები მეფის ტახტიდან გადაგდებას, ახალ წესების დამყარებას და სხვას, როგორს მონაწილეობას მიიღებდნენ სარევოლიუციო მოქმედებაში? რამდენად გლეხი ჯარის კაცი არის, სალდათის ფარაჯაში გამოწყობილი, იგი რასაკვირველია რევოლიუციონერი იყო, მან გადასწყვიტა თითქმის რევოლიუციის გამარჯვების საქმე, მაგრამ ნამდვილი გლეხი, მიწაზე მიკრული, თავის სოფელში გამომწყვდეული, ყველაფრის უნახავი, გაუნათლებელი გლეხი? ეს უთვალავი მასა ეს უსაზღვრო სივრცეზე გადაჭიმული ხალხი რას იტყოდა, ჰპოვებდა თუ არა თავის სულის კვეთების გამოძახილს რევოლიუციაში? გასცემდა რევოლიუცია პასუხს მის საუკუნოებით წარმოშობილს მისწრაფებას?

ეს საკითხი მთელის თავის სიმძლავრით აღიმართა იმათ წინაშე, რომელთათვის რევოლიუცია ნიშნავს ხალხის ცხოვრების გარდაქმნას, სრულს განახლებას და არა რამდენიმე პირის ან მთელის ჯგუფის შესრულებულს გარეგნულს აქტს. რევოლიუციის ხელმძღვანელები მხნედ შეუდგნენ გლეხების დარაზმვას, შეკავშირებას, მოძრაობის აზრის განმარტებას და გავრცელებას, სოფლის მუშების ჩაბმას სარევოლიუციო მუშაობაში. გლეხებმა მალე შეიგნეს რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობა. ძველი წეს-წყობილების სივაგლახე ყველაზე მეტად მათ ჰქონდათ განცდილი, ბიუროკრატიის გამოჭედილი ხუნდები ყველაზე უფრო მწარედ მათ უბორკავდა ხელ-ფეხს. მეფის ჯალათების მათრახი ყველაზე ხშირად მათ ზურგს წვდებოდა. გლეხები ამოუდგნენ გვერდში ქალაქის მუშებს და სალდათებს. მაღლა ასწიეს მკლავი და შესძახეს: ჩვენც თქვენთან სარევოლიუციო ბრძოლაშიო!..

ამ ერთის თვის წინად პეტროგრადში გაიმართა დიდი ყრილობა მთელი რუსეთის გლეხობისა და მისი ბეჯითი გადაწყვეტილება იყო რევოლიუციის უდიდესი განმტკიცება. შეიკრიბნენ ცალკე უკრაინის გლეხებიც და მეტად საგულისხმიერო განაჩენები გამოიტანეს მიწისა თუ უკრაინის განთავისუფლებისათვის. კრებები ჰქონდათ სხვა და სხვა ერის გლეხებს. კავკასიის ზოგიერთ გუბერნიაშიც იყო საგლეხო ყრილობები—ერევანში, ყარსში. სამწუხაროდ ჩვენი სამშობლო ჩამორჩა ამ მხრივ სხვა ქვეყნებს. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საქართველო კავკასიის სხვა ადგილების მაღლა სდგას კულტურით, სოციალურის და პოლიტიკურის შეგნებით.

მართალია ჩვენში არაა საზოგადოდ ისეთი გათიშვა და განცალკევება გლეხისა და მუშისა, ქარხანა-ფაბრიკის მუშისა და მიწის მუშისა, როგორცაა მაგალითად რუსეთში; ჩვენში სრული პროლეტარი ჯერ კიდევ ცოტაა და გლეხსა და მუშას შორის ბევრი რამაა საერთო, ამიტომაც ასე ხშირია ორივეს საერთო გამოსვლა. მაგრამ მაინც შეუძლებელია უარყოფა ჩვენებური გლეხის ცხოვრების და მდგომარეობის თავისებურობისა, რომლისთვისაც საჭიროა ცალკე მუშაობა, ცალკე შეკავშირება. ჩვენშიაც აქვთ გლეხებს თავისი საკუთარი ინტერესი, გლეხთა საკითხი ჩვენშიაც ცალკე საკითხია, რომლის გადასაჭრელად საჭიროა თავისებური საშუალება და სახსარი.

ჩვენში თუ ვერ ვხედავთ მტკიცე საგლეხო კავშირებს, ამის მიზეზი ჩვენებურ გლეხობის ვითარებაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ პარტიათა მოღვაწეობასა და მათ ურთიერთობაში. ჩვენს პარტიებს რომ სხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდეთ ერთმანეთთან, მათი მუშაობა რომ სხვანაირად იყოს მიმართული, დღეს ჩვენი სოფლის ხალხი უმტკიცესი კავშირით იქნებოდა შეკრული და ეს უეჭველია დიდი აქტიური ძალა იქნებოდა როგორც ქართველი ერის მომავლისა ისე მთელი რუსეთის რევოლიუციისათვის. უნდა გულახდილად ვსთქვათ, რომ ჩვენში აქამდის არაა წმინდა ნამდვილი საგლეხო მოძრაობა, არის მხოლოდ ჩანასახი მისი. ვერ ვხედავთ ქართველ გლეხობას, მიწის მუშა გლეხობას, რომელიც ანაყოფიერებს დედა მიწას და თავის მარჯვენათი ასაზრდოებს მთელს საქართველოს, ვერ ვხედავთ ამ გლეხობას ერთის სახით გამოსულს, ერთის მისწრაფებით აღფრთოვანებულს, გარკვეულის და ნათელის გეგმით. ისმის თითო-ოროლას ხმა, მაგრამ არ ისმის ერთი მძლავრი ხმა გლეხობისა, როგორც გლეხობის მთლიანის და საგლეხო სარევოლიუციო ნებისყოფით აღჭურვილის. ქართველი მშრომელი გლეხობა, მიწის მუშა გლეხობა ეხლა იკრეფს მხოლოდ ძონეს, მაგრამ დღემდის არაა დარაზმული როგორც მოქმედი ძალა რევოლიუციისა, მშობელი ქვეყნის ცხოვრების განახლებისა.

ეს დარაზმვა გლეხობისა, მათი აქტიური ეამოსვლა მორიგი საქმეა მეტად მნიშვნელოვანი და მეტად სასწრაფო, თუ გვწადია, რომ რევოლიუციამ საჩუქრად კი არ გვითავაზოს რამე და ისეთი, რაც არც კი გვინდოდეს, არამედ მივიღოთ ის, რაც ჩვენთვის ღრმა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, რაც ჩვენს სრულს ნებას შეეგუება...

* *

ცხადია, დღეს პოლიტიკური პარტიები განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ გლეხებს. ამის საჭიროება დღევანდელმა რევოლიუციამ დაბადა. ეს გადაჭრილი ბრძანებაა რევოლიუციისა. მაგრამ საგლეხო საკითხი არ ახალია—ძველია სოციალისტურ მოღვაწეებისთვის. დიდი ხანია იბრძვიან სოციალისტები, გაცხარებთლი კამათი და შეტაკება აქვთ გლეხის გამო—რევოლიუციონერია თუ არა გლეხი თავის მდგომარეობით, თავის სულიერი განწყობილებით, თავის ხასიათით და შეუძლია თუ არა რაიმე დახმარება აღმოუჩინოს პროლეტარიატს, მუშას სოციალიზმის განხორციელებაში, შეითვისოს სოციალისტური მოძრაობა? ამის გარშემო მეტად ბევრი ქაღალდი დაიწერა, ბევრი მელანი დაიხარჯა, ბევრი კალამი გაცვდა და არ შინდა აქ ამისთვის ვილაპარაკო. ყველამ ვიცით—ორი მიმართულებაა. ერთისთვის გლეხი მეტად უძრავი არსება იყოა კონსერვატორი, დამცველი თვითპყრობელობის და ბიუროკრატიული წესწყობილების, გლეხი აღზრდილია კერძო საკუთრებაზე, გაჟღენთილია კერძო მესაკუთრის ფსიხოლოგიით, ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი მესაკუთრეობის ჟინი და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია, რომ გლეხი მხარში ამოუდგეს სოციალისტებს, პირიქით მათი წინააღმდეგი იქნება ყოველთვის, სოციალიზმი კერძო საკუთრების გაუქმებაა და მის დასამყარებლად თავგამოდებით შეუძლიან იბრძოლოს მხოლოდ პროლეტარიატს, ვისაც საკუთრება აღარ გააჩნია და მარტო თავის შრომას, შრომის ძალას და მოქმედებას ემყარებაო. მეორე მიმართულება უპასუხებდა: მიწის მუშა გლეხის და ქარხანა-ფაბრიკის მუშას დამახასიათებელი მთავარი თვისება ის კი არაა, რომ პირველს ნაჭერი საკუთარი მიწა გააჩნია და მეორეს არა, არამედ ისაა, რომ ერთიც და მეორეც მუშაა, მშრომელი, რომელიც მხოლოდ საკუთარის შრომითა და ოფლით სცხოვრობს და რომლის შრომის ნაყოფის ნაწილს ითვისებს მემამულე ან მრეწველი და მწარმოებელი. ამიტომ არსებითი განსხვავება არაა მიწის მუშასა და ქალაქის მუშას შორის, ორივე დაჩაგრულია და გაყვლეფილი დღევანდელი მეურნეობისა და წარმოების მიერ, ორივესთვის აუცილებელია გამოსვლა ამ მდგომარეობიდან და ორივე იბრძოლებს სოციალიზმისთვის, მიემხრობა საკუთრების და წარმოების გასაზოგადოებრივებას, რამდენად შეიგნებენ მდგომარეობის ნამდვილს ვითარებას...

პირველი შეხედულობის დამცველნი ს. დემოკრატები განსაკუთრებულს მნიშვნელობას აძლევენ ობიექტიურ გარემოებას. ამისთვისაა, რომ ამბობენ: საკუთრება და საკუთრების სიყვარული უნდა დაჰკარგოს ადამიანმა, რომ საკუთრების სრული გაუქმება მოითხოვოსო. მაგრამ ვიკითხოთ: საწადელი იქნებოდა საკუთრების მოკლებულ პროლეტარისთვის კერძო საკუთრების მოსპობა და სოციალისტური მეურნეობის დამყარება, თუ ეს უკანასკნელი არ მოუტანდა მას ეხლანდელი მძიმე და აუტანელი ყოფის გაუმჯობესობის, შეცვლას? რასაკვირველია, არა. უსაკუთრეო პროლეტარი იბრძვის საკუთრების მოსასპობად მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოაქვს მისთვის ადამიანური ცხოვრება. ამ გვარადვე მიწის მუშა გლეხი, რომლის საკუთრება ნაჭერი მიწა მისი მწარე ოფლითა და სისხლითაა მორწყული, არასოდეს იქნება დამცველი კერძო საკუთრებისა, რადგან ამ კერძოობაზეა აგებული ის წყობილება, რომელიც ყველაზე მეტად გლეხს სჩაგრავს, გლეხს უმწაოებს სიცოცხლეს. კერძო საკუთრება გლეხის გაუბედურების მიზეზია, თუმცა გლეხიც მესაკუთრეა თვითონ. საკუთრების მოსპობა გლეხისათვის საწადელია ისე, როგორც პროლეტარისთვის, რადგან ორივე ერთნაირად დაინტერესებულია, რომ ნაცვლად კერძო მეურნეობისა დამყარდეს საზოგადო, ნაცვლად კერძო საკუთრებისა—საერთო. მხოლოდ ამნაირი წესწყობილება დაიხსნის მათ გაჭირვებისა და შევიწროვებისაგან. ამის ღრმა შეგნებაზეა დამოკიდებული სოციალისტობა გლეხისა და პროლეტარიისა და არა იმაზე, რომ ერთს საკუთარი მიწა აქვს, რომელსაც საკუთარის მკლავით ამუშავებს და მეორეს კი საკუთრება არ მოეპოვება და სხვის ქარხანაში, სხვისი იარაღით მუშაობს...

ეს უკანასკნელი შეხედულება უფრო და უფრო ვრცელდება სოციალისტებს შორის ბოლო დროს და გლეხთა საკითხს ეკარგება ვიწრო ინტერესი და დღითი დღე ფართო ხასიათს იღებს.

სამ. ფირცხალავა.

„ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი“, რომელშიაც წევრად ჩაწერა შეუძლიანთ როგორც კერძო კოოპერატივებს, ისე სარაიონო საკოოპერაციო კავშირებს. დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდა. გამგეთა ნაცვლად არჩეულ იქმნა 5 კაცისაგან გამგეობა, რომელშიაც შევიდნენ: ე. დარჩია, თალაკვაძე, ჭავჭავაძე, შ. გოგებაშვილი და გ. წულუკიძე. საბჭოში არჩეულ იქმნენ: კ. კანდელაკი, სვ. მაჭავარიანი, მღვდელი გ. მოლოდინაშვილი, ლომია, ნატროშვილი, სვ. ცხომელიძე, ლაჭყებიანი, მხრჩიანცი, აზნაუროვი, პ. კედია და სხვანი, სულ 15 კაცი.

◆ **ქართული სახელმძღვანელოები.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას მრავალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი აქვს დასაბეჭდად დამზადებული. უკვე დაიბეჭდა „დედა-ენა“ მეორე ნაწილი. იბეჭდება „ბუნების კარი“ და „დედა-ენა“ პირველი ნაწილი.

◆ **მასწავლებელთა შორის.** ტფ. გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობამ გადაწყვეტილი აქვს, აირჩიონ ცხრა კაცი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის დროს. ამ ცხრა კაცის ასარჩევად მასწავლებელთა კრება გუშინ საღამოსათვის იყო დანიშნული ქართულ გიმნაზიის შენობაში.

◆ **პურის ბარათები.** ქალაქის საკვები კომიტეტი პურის ბარათებს 1 ივლისიდან აპირებს შემოღებას.

◆ **ფქვილის ბარათები.** ქალაქის საკვებ კომიტეტმა დაადგინა მეპურეებს მიეცეთ პურის ბარათები, რომ არ გაჰყიდონ ხოლმე სხვაზე ფქვილი. ბარათების ნაცვლად სავაჭრო მოწმობანი იქნება მიღებული. ამ მოწმობებზე დაწერს ქალაქის კომიტეტი როდის და რა წონით მისცეს ფქვილი თითოეულ მეპურეს.

◆ **დეპეშა სინოდის ობერ-პროკურორს.** ქართლ-კახეთის მონასტრების წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარემ არქიმანდრიტმა იოანემ სინოდის ობერ-პროკურორს თ-დს ლვოვს კრების სახელით მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც, სხვათა შორის, აუწყა ქართულ მონასტრების დაქცევა და იმედი გამოსთქვა, რომ ობერ-პროკურორი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განმტკიცებას.

◆ **ამ საღამოს შემოსავალი,** რომელიც 21 ამ თვეს გაიმართა ახალ კლუბში სოც.-ფედ. ტფ. ორგანიზაციის სასარგებლოდ, იყო 7.306 მან. 45 კ., ხოლო ხარჯი 1288 მან., წმინდა შემოსავალი დარჩა 6018 მ. 45 კ.

◆ **ხამურზაყანო და ქართულ წიგნების საჭიროება.** ქ. შ. წ.- კითხვის გამავრც. საზოგადოების სასკოლო სექციის თავმჯდომარემ ლ. ბოცვაძემ შუამდგომლობა აღძრა წ.-კ. საზოგადოების გამგეობას, რათა გალის სკოლას ქართული წიგნები დაუთმოს რისაც იქ დიდი მოთხოვნილება ყოფილა. ბ-ნ ბოცვაძე მოუწოდებს აგრეთვე სხვა საზოგადოებებსა და კერძო პირებსაც, რათა წიგნები არ დაიშურონ და გაგზავნონ გალის მასწავლებელთა კავშირის სახელზე.

◆ **ქართველ მსახიობთა კავშირს** საბჭოს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ალ. კოზმავასთან, რომელსაც სურს, ბათომში ქართული სათეატრო სეზონი აწარმოოს მომავალ ზამთარს.

◆ გორის მაზრის 4—5 სოფლის ქალთა დიდი ყრილობა გაიმართა ს. დიდ-მეჯვრისხევში; „მანდილოსნის“ განყოფილების საზოგადოების თაოსნობით, რომელზედაც დაადგინეს შემდეგი: ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ მომენტს ჩვენ პროვინციის ქალები მოვმართავთ ქ. ტფილისის ქართ. ქალთ. საზოგადოებას, როგორც უფრო გამოცდილებს და მცოდნეებს, რომ გვიწინამძღოლონ და რაც შეიძლება მალე მოიწვიონ ქართველ ქალთა ყრილობა, სადაც გამოვთქვამთ ჩვენს ჭირ-ვარამს, საჭიროებას, მისწრაფებებს.

◆ **ქართული სათეატრო სეზონი.** 23 ივნისს გაიმართა გაერთიანებული კრება ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოსი, სასამართლოსი და სარევიზიო კომისიისა. კრებამ მსჯელობა იქონია მომავალ სათეატრო სეზონის შესახებ ტფილისსა, ქუთაისსა და ბათომში. გამოითქვა მტკიცე აზრი რომ დღევანდელი მომენტი აუცილებლად მოითხოვს, რათა ხემოხსენებულ ადგილებში მსახიობთა გაძლიერებული დასები იყოს. შესაფერი მუშაობა კავშირის საბჭომ უკვე დაიწყო.

◆ **აბრეშუმის პარკზე** ფასებმა ქუთაისის გუბერნიაში ძლიერ აიწიეს ამ ჟამათ ნაცვლად წინანდელ 10—12 მ. აბრეშუმის პარკი ფასობს 75 მანეთად.

◆ **შაქრის აღკრძალვა.** ქალაქის საკვებ კომიტეტმა მიმართა მოწოდებით მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს, საინტენდანტო გამგეობას, საჯარისო უწყებას რკინის გზების გამგეობათ რომ დაწესებულ ზომაზე მეტი შაქარი არავის მისცენ.

◆ **სტუდენტ. აბიტიურ. და კურსისტ. ამხანაგ ალმწერლებს!** სტუდენტების კომისია გთხოვთ მოხვიდეთ საერთო კრებაზე ქალთა უმაღლე კურსებზე. დღეს ივნისის 25-ს საღამოს 6 საათზე.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი

◆ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა გადაყენებულ იქმნას სამხედრო ბეგრის საკრებულოს თავმჯდომარე, ქუთაისის თავადაზნაურთა მაზრის წინამძღოლი თ-დ გ. ი. ერისთავი.

— ამავე კომიტეტმა დაადგინა მილიციონერებად არ იქმნენ მიღებულნი სამხედრო ბეგრის მოხდილნი.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა ითხოვეს 100% ჯამაგირის მომატება, რაც 200 ათას მანეთს ხარჯს იწვევს ქალაქის კასიდან.

ს. ქარელი.

◆ 17 ივნისს ტფილისიდან მომავალ მატარებელში № 9 ჯარის კაცებსა ხუბულავას და ქარსელაძეს მოჰპარეს ტანისამოსი—და სხვა ნივთები ქარელსა გომს შუა ეჭვით შეიპყრეს პოდპრაპ. ზურაბოვი და ჯარის კაცი კარაპეტოვი გაჩხრეკის დროს ზედვე აღმოაჩნდათ რამოდენიმე ნივთი, დანარჩენიც როგორც თვითონ გამოტყდნენ და აღიარეს, მათ მოუპარავთ. ნივთები გაეყიდნათ ს. ხვედურეთში რომელიც შეკრებილ იქმნა და ჩააბარეს პატრონებსა, ხალხი საშინლად აღელვებული იყო, მოითხოვდნენ საჯაროდ დასჯას. ადგილობრივმა მმართველობამ გამოიწვია სამაზრო კომისარი, რომელმაც გამოიძია საქმის ვითარება, 18 ივნისს დამნაშავენი გაამგზავრეს გორის ციხეში ქარელის ვაგზალზე მათ შემოესივნენ ჯარის კაცნი, უნდოდათ თვითონვე გაესამართლებიათ.

◆ ს. ყვინცისში თავი ჩამოიხრჩო კოტე ბერაძის ცოლმა: მიზეზი ოჯახური უსიამოვნობა არისო.

საზიზღარი ამბავი

(წერილი განჯიდან)

18 ივნის, ღამის 3-ს საათზე, ქ. განჯას და გერმანელები სოფ. ელენინოს შუა (ელენინო 7 ვერსტის მანძილზეა ქალაქიდგან) საფოსტო გზაზე თავს დაეცნენ ყაჩაღები სამს მსროლელ კავკასიის ცხენოსან პოლკის ჯარის კაცს. ერთს ამათგანს ტყვიით გული გაუგმირეს, შემდეგ ხანჯლებით აწამეს და იქვე მოჰკლეს, ორი მძიმეთ დასჭრეს—იარაღები წაართვეს და მიიმალენ. მთელი პოლკი ააშფოთა ამ საშინელმა ამბავმა და ფეხზე დააყენა.

განჯიდან გაიწვიეს—პროკურატურა, კომისარი, 219 სათადარიგო პოლკის ჯარისკაცთა საბჭოს წევრები.

11 საათზე დანიშნული იყო დასაფლავება.

დანიშნულ დროს მიუახლოვდი სოფელს ელენინოს. საშინელი სურათი ვნახე. მთელს პოლკის ჯარის კაცებს (2000-სამდე) თავი მოეყარათ მოედანზე, ისმის საშინელი ყვირილი „ბოკალით, არ გამოტყდა“. შევიჭერი ჯარის კაცებში—ვხედავ აგდია ძირს სისხლში ამოსვლილი მეეტლე თათარი. რიგ-რიგობით მიდიან ჯარის კაცები, შედგებიან წიხლებით ზურგზე, ურტყამენ ცხვირში, ყურებში, თავში წაღების ლურსმიან ქუსლებს.

შევეხვეწე მოწინავეებს—შეჩერებულიყვნენ—თვით გასამართლება დანაშაულის შეჩერეს—და აღშფოთებული ჯარისკაცი ჯერ ერთი, მერე მეორე, სიტყვას ართმევს ერთი მეორეს და მეუბნება:

ამ მეეტლემ წაიყვანა წუხელი ყაჩაღები თავ-დასხმის შემდეგ—დამალა, დილის 8 საათიდგან ვეხვეწეთ—ეთქვა ყაჩაღთა ვინაობა და არ გამოტყდა—ახლა ჩვენ ჩვენი კანონით უნდა მივიღოთ დაკმაყოფილება. ამას ეკუთვნის ასე მხეცური წვალებით ნელი სიკვდილოო.

ნახევარი საათში მეეტლეს ტვინმა ამოხეთქა თავში და გარდიცვალა.

აღმოჩნდა ამ მეეტლეს შემთხვევით —თუ ადრე განზრახვით—ყაჩაღები წაეყვანა, მხოლოდ მეორე მეეტლე, რომელსაც თავს დაესხნენ დაჭერილი ყავდათ და ამ სახით აპირობდენ იმას გასამართლებასაც.

მაგრამ განჯიდგან ჩამოსულმა კომისარმა ადგილობრივ ჯარის კაცთა კომისიის წევრთა თანდასწრებით—მოახდინეს ჩვენების ჩამორთმევა. ჩვენების დროს მეეტლემ განაცხადა—ორს ვიცნობ სახით, ვინაობა მათი არ ვიციო. ამით ჯარის კაცები არ დაკმაყოფილდენ—არ ვიცი რით გათავდება. მდგომარეობა საშიშია.

— ჯარის კაცები იყვნენ სწორეთ იმ ფსიხიურ აფექტიურ მდგომარეობაში, როცა ადამიანი მოქმედობს გრძნობით და არა გონებით, როდესაც ადამიანი სრულებით ანგარიშს არ აძლევს თავის მოქმედებას. ცხადია, ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო საზიზღარი შემთხვევით, მაგრამ ნუ თუ ამ პოლკის ინტელიგენტურ ძალას არ შეეძლო სიკვდილს გადაერჩინა მეეტლე, გადაედვა-თვით-გასამართლება რამოდენიმე დღით, შეიძლება—სულ უდანაშაულოც აღმოჩნდეს.

მართალია რუსეთში რამოდენიმე საუკუნის წინ ადგილი ქონდა ამ გვარ დამნაშავეთა გასამართლებას, მაგრამ ისტორია ზიზღით იხსენიებს მას. ნუ თუ სიტყვით უნდა ვიძახდეთ—სოციალისტები ვართო და საქმით ვთელავდეთ სოციალიზმის მცნებას—სიყვარულს, პიროვნების პატივის ცემას, თანასწორობას.

მღ. ნ. აბესაძე.

უცხოეთი

მუშათა და სალდათთა დეპუტატები.

სტოკჰოლმი. 20 ივნისი ჩამოვიდნენ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენელნი. ვაგზალზე მათ შეხვდნენ გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა დელეგატები: კაუცკი, ჰააზე და კონი. მათ მოუწოდეს რუსის დელეგატებს თათბირისათვის.

ინგლისის სოციალისტები

ლონდონი. 20 ივნისი. მუშათა პალატის წევრმა უილიამ ტორნმა შეკითხვა შეიტანა: მართალია თუ არა ის, რომ ბრიტანიის სოციალისტურმა პარტიამ, სადაც 3 ათასი წევრიც კი არაა, ითხოვა სტოკჰოლმს წასასვლელად კონფერენციისათვის პასპორტებიო. ან დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ისინი იქ გერმანიასთან ომის წარმოებას დაიცავენ, როგორც ეს მუშათა პარტიას აქვს გადაწყვეტილიო. ბალფურმა უპასუხა: რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბრიტანიის სოციალისტების პარტიის არც ერთი წევრისათვის არ მიუციათ პასპორტი სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებლადაო.

ამნისტია ავსტრიაში.

სტოკჰოლმი. 20 ივნისი. იმპერატორ კარლოს მიერ გამოქვეყნებულ იქმნა ამნისტია, რომელიც ანთავისუფლებს: როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო სასამართლოს მიერ დასჯილთ; ამნისტია შეეხება: სახელმწიფო მოღალატეებს, მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელთ, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ, პროტესტის გამომცხადებელთ და სხვ. ამნისტია არ შეეხება დაუსჯელ ემიგრანტებს.

ოთხი ძმის ამბავი

III

სამხრეთით გამგზავრებულმა მეორე ძმამ—ტიმოთემ—სოფელ-სოფელ სიარულის დროს ბევრი რამ საოცარი და საკვირველი ნახა, ბევრი რამ არ მოსწონდა, ბევრი რამ ხალხის ზნეჩვეულებიდან სისულელედ ეჩვენებოდა, მაგრამ ყველაზე ძალიან ის აბრაზებდა რომ ყველგან ბატონობდნენ მდიდრები და მთავრობისაგან დაყენებული მოხელენი, გლეხებს კი ხმა ჩაეწყვიტნათ და ყოველგვარ დამცირებას, შევიწროვებისა და უსინდისო მოპყრობას პირუტყვივით იტანდნენ.

„ნუ თუ გიჟები არ არიან გლეხები, რომ ამდენს ითმენენო—ჰფიქრობდა ხოლმე ტიმოთე, მაგრამ თახაც ებრალებოდა იგივე გლეხები, რადგან კარგათ ხედავდა მემამულეებისა და მოხელეთა ოინებსა და თვალთმაქცობას.

ერთხელ ტიმოთე ერთ სოფლის ყრილობას დაესწრო. იქვე მყოფი, გულზე ოქროს ძეწკვ ჩამოგდებული მომრიგებელი შუამავალი მამალივით იფხორებოდა და გლეხებს უშვაწვრათ ლანძღავდა.

— თქვე ასეთებო და ასეთებო, როდემდის უნდა გდიოთ უკან!—ყვიროდა იგი—ეს მეოთხე წელიწადია პირჯვარი ვერ დაგაწერინეთ... თუ თქვენის ნებით არ გადასახლდებით დანიშნულ ადგილზე, მთავრობა ძალას იხმარს...

— რავქნათ, შენი ჭირიმე, თუნდ აქ დავხოცილვართ და თუნდ იქ—სიტყვა ჩამოართვა გლეხმა სოსიკამ და განაგრძო—თქვე დალოცვილო, მოგვიჩინე ერთი რაღაც ჭაობიანი ადგილი, სახნავი აქ არ ვარგა და სათესი, წყალი ხომ ბაყაყების მუდეთ არის გადაქცეული. ალბათ ჩვენი ამოწყვეტა გწადიათ... ვერა, ვერ გადავსახლდებით... სოფელი განაჩენს ხელს ვერ მოაწერს!.. გადაჭრით დააბოლოვა გლეხმა.

— აი, შე, ბუნტის თავო!—შეჰყვირა მომრიგებელმა შუამავალმა—შენ აქეზებ განა, სოფელს? მაცადე, ისეთ დღეს დაგაყრი, რომ შენი ხორცი შენივე კბილით გაგლეჯინო... გიბრძანებთ, შეადგინოთ განაჩენი—მე თქვენი ჩიჩინის თავი არა მაქვს.

— ვერ შევადგენთ, ვერა!... ახრიალდა მთელი ყრილობა. აქა იქ მოისმა შუამავალის მაგინებელთა ხმაც.

— მაშ კარგი! იმასაც ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს! გაცოფდა შუამავალი, ერთი ლაზათიანათ კიდევ შეუკურთხა გლეხებს, თავის ცხენს მოახტა და გაჰქუსლა.

სოფელმა სიცილი დააყარა.

ტიმოთეს სხვა სოფელში უნდოდა წასვლა, მაგრამ იფიქრა: „ცოტახანს მოვიცდი, ვნახოთ რა იქნებაო“ და ამავე სოფელში დარჩა.

სულ ორი კვირა არ გასულა, რომ მომრიგებელი შუამავალი ისევ მობრუნდა სოფლად და თან ერთი როტა*), სალდათიც მოიყვანა.

— მაშ თანახმა არა ხართ, რომ განაჩენი ნებაყოფლობით შეადგინოთ?—დაეკითხა შუამავალი სალდათებით გარეშემორტყმულ სოფლის ყრილობას და თან კბილები დააკრაჭუნა.

— არა ვართ, არა!—ერთ ხმათ უპასუხა სოფელმა.—აქვე დავიხოცებით და აქ კი არ გადავსახლდებით!

— აბა ხიშტები მაგათ!—მოულოდნელათ გასცა ბრძანება ხეშწიფის კაცმა და სალდათებს გადახედა. გამხეცებული სალდათები ტარზივით დაერივნენ გლეხებს. რამდენიმე გულ განგმირული გლეხი იქვე უსულოთ დაეცა გათამამებული და ადამიანის სისხლით ტვინ-ამღვრეული სალდათები გაჰქცეულებს დაედევნენ.

— სად გარბიხართ, ამათ როგორ უნდა გვაჯობონ!—დაიღრიალა ტიმოთემ—თავგანწირვით—მივარდა ერთ სალდათს, თოფი ხელიდან გამოჰგლიჯა, ეს სალდათი იქვე მოჰკლა და დანარჩენებს ვეფხვივით დაერია. ამის დამნახველ სოფელს გული მოეცა, გამობრუნდა, შეუტია აჯარს. კაცებს, ხელ და ხელ იარაღი აჰყარა და ნახევარზე მეტი გასწყვიტა. სალდათთაგანი ვინც ცოცხალი გადარჩა, გაჰქცევით თავს უშველა.

მომრიგებელი შუამავალიც ძაღლივით ჩაჰკლეს.

გამარჯვება გლეხებს დარჩათ, მაგრამ, ვაი, ამისთანა გამარჯვებას! ვინ მოსთვლის რამდენი დედა ატირდა, რამდენი ქალი დაქვრივდა, რამდენი ობოლი! მთელი სოფელი გლოვის ზარმა მოიცვა. უპატრონოდ დარჩენილ ქალებისა და ბალღების წივილ-კივილი და მოთქმა გოდება ქვასაც კი აატირებდა!

— ღმერთო, რამდენი სისხლი და ცრემლი იღვრება და მერე რისთვის?! ჰფიქრობდა გულ-მოკლული და ბოძოლა გადახდილი ტიმოთე—ვიღაცის ჟინიანობისათვის სალდათები და გლეხები ერთმანეთსა ჟლეტენ... შვილი ჰკლავს მამას, ძმა-ძმას. ღმერთო, სადა გაქვს სამართალი, სადა აქვს ხალხს ჭკუა და გონება? განა უმჯობესი არ იქნება, რომ სალდათებმა ხალხს მისცენ მხარი და შეერთებულის ძალით ატანჯველ—ბატონებისაგან თავი გაინთავისუფლონ? ხალხო, ხალხო!—დაიგმინა ტიმოთემ—ნეტა როდის [illegible] გულის ხმაში, როდის მოუღებ ბოლოს შენს მტანჯველებს, შენს ჯალათებს, როდის განთავისუფლდები მონობიდან?!...

— ვინ იცის!—ნამტირალევის ხმით სიტყვა ჩამოართვა სოსიკამ, რომელმაც ტიმოთეს ამონაკვნესი სიტყვები გაიგონა და დაუმატა.

— ხვალ უფრო დიდი უბედურება მოგველის... ერთი როტის მაგიერ მორეკამენ მთელ პოლკს*) და ნაცარტუტას აგვადენენ..

— ყური დამიგდე, ამხანაგო!—სიტყვა გააწყვეტინა ტიმოთემ—გამოცდილი კაცი ვარ და არ მოგატყუებ. ყოველ გვარ უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის გლეხობა შეერთდეს, ერთმანეთს პირი მისცენ, ერთად შეითქვან და შეერთებულის ძალით შეუტიონ მტერს, სამმო არა აქვთ რა თუ? განა მიჩვენებ ისეთ კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომ გლეხობა ერთ გვარათ არ იტანჯებოდეს? ყველგან და ყოველთვის იგი დაჩაგრულია, გატყავებულია. ყველგან წურბელასავით დასჯდომიან მას კისერზე მევახშე, ჩარჩი, ბატონი და მთავრობა, აკი ამიტომაც აქა-იქ გლეხები ჯანყობენ? მაგრამ კერძო ამბოხებით არა გამოვა-რა! თითოეულ აჯანყებულ სოფელს მთავრობა ხმას მალე ჩააწყვეტინებს, მაგრამ რამდენიმე სოფელი ერთად რომ აჯანყდეს, მაშინ კი მთავრობას და სალდათებს თავ-გზა დაეკარგებათ, არ ეცოდინებათ პირველად რომელ სოფელს გაუმკლავდნენ. ახლა შენ წარმოიდგინე, როგორ დარეტიანდებიან ხალხის მტარვალები, მთელი რუსეთი რომ ერთ დღეს აჯანყდეს? სადა ჰყავს მთავრობას ან იმდენი ჯარი და ან სადა აქვს იმდენი მოსაზრება, რომ მთელი რუსეთის გლეხ-კაცობას გაუმკლავდეს, ხომ მართალს ვამბობ?

— მართალია, მაგრამ... შეფიქრიანდა გლეხი.

— რაღა მაგრამ—განაგრძო ტიმოთემ—მაგრამობა საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ ყველა სოფლებსა და სამამასახლისოებში ჩვენი კაცები დაგზავნოთ, ავუხსნათ გლეხებს მათი გაჭირვებული მდგომარეობა, სიტყვა ჩამოვართვათ, რომ დანიშნულ დღეს ჩვენთან ერთად აჯანყდებიან და აი მაშინ გაჩვენებ, რა შავი დღეც გაუთენდებათ მთავრობასა და მის დამქაშებს! როცა მთელი ქვეყანა ფეხზე დადგება, ჯარიც ხალხს მიემხრობა, და თუნდაც არ მიემხროს, ვეღარაფერს გააწყობს და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება. მაშინ ჩამოვართვათ მამულები მებატონეებს, წავართვათ ქონება ჩარჩ-ვაჭრებს, დავამხოთ ძველი მთავრობა და დავიწყოთ ძმური ცხოვრება. გვეყო ამდენი დამცირება და უბედურება! განთავისუფლებული გლეხობა ძალიან კარგა მოუვლის თავის თავს!

— მართალს ამბობ! დიდი ხნის ფიქრის შემდეგ სთქვა სოსიკამ—მაგრამ განა გლეხობას შეასმენ რამეს? ისეთი გონება-ბნელი ვართ, რომ ხმასაც არ ამოგვაღებინებენ.

საუბედუროდ სოსიკას ნათქვამი მართალი გამოდგა... ხალხს ჩაგონება დაუწყეს, მაგრამ სოფელმა ყურიც არ ათხოვა. ზოგი გლეხთაგანი დაიმუქრა კიდეც. „ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ მაგვარ ქადაგებისათვის მთავრობასთან დაგაბეზღებთო“.

— ეხ, თქვე უგუნურებო!—უთხრა ერთ დღეს ტიმოთემ სოფლელებს—რახან ისეთი სულელები ხართ, სხვაგან წავალ და თქვენზე ჭკვიანებს მოვძებნიო. ამ სიტყვებით ტიმოთე გამოეთხოვა მშიშარა სოფელს და სხვა სოფლების გზას დაადგა.

ბევრი სოფელი შემოიარა, ბევრს ურჩია აჯანყებულ სოფლისათვის მხარი მიეცათ, მაგრამ ვერა გააწყო-რა: ზოგან დასცინოდენ, ზოგან ახლოც არ ეკარებოდნენ. ერთ სოფელში ხომ დაიჭირეს კიდეც და ბოქაულს მიჰგვარეს. ბოქაულმა ტიმოთეს ფეხებში ბორკილები გაუყარა და ქალაქის სატუსაღოში უკრა თავი. ეს სატუსაღო ხალხით იყო სავსე. იქვე დახვდა სოსიკაც.

მას შემდეგ როცა ტიმოთე აჯანყებულ სოფლიდან წამოვიდა, ამ სოფელში მისულა თურმე აუარებელი ჯარი, მთელი სოფელი აუწიოკებიათ, ძალათ გადაუსახლებიათ, ხოლო მეთაურები და მათ შორის სოსიკაც აქ ციხეში ჩაუსვამთ.

ერთი თვის შემდეგ მთავრობის მსაჯულებმა სოსიკასა და ტიმოთეს სოფლის აჯანყებისათვის ციმბირი გადაუწყვიტეს და ვლადიმირის გზას*) გაუყენეს.

IV

მესამე ძმა—გიგო—აღმოსავლეთისკენ გაემგზავრა. ბევრი იარა სოფელ-სოფელ, მაგრამ რადგანაც გლეხების გაჭირვებული ცხოვრება არ მოეწონა, ქალაქში დაბინავდა.

ქალაქის სიმშვენიერემ, მისმა მრავალ სართულიანმა სახლებმა, ძვირფასი საქონლით სავსე დუქან-მაღაზიებმა, ელექტრონით განათებულმა ქუჩებმა, ლამაზათ მორთულ მოკაზმულმა ხალხმა და თვალ-წარმტაცმა ეტლებმა თავისბრუ დაასხეს ჩვენ გიგოს და და თითქოს სიზმარშიც, აღტაცებით გაიძახოდა: აი სამოთხე სადა ყოფილაო“!..

მდიდრების შემყურე გიგოს მალე ადამიანური ცხოვრება მოსწყურდა და რადგანაც არ იცოდა, საიდან ჩნდებოდა ეს აუარებელი სიმდიდრე კერძო კაცებისა, ერთ მდიდართან მივიდა და გულუბრყვილოდ შეეკითხა:

— მითხარი, გეთაყვა, როოგორ უნდა მოვიქცე, რომ გავმდიდრდე? დაეღრიჯა გიგო.

— უნდა იმუშაო [illegible]სუხა მდიდარმა.

— მუშაობა როგორ შემაძინებს, თქვე დალოცვილო!—უთხრა გიგომ და დარიგებისათვის სალამი გადაუხადა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გიგო უკვე ქარხანაში მუშაობდა, დღეს ღამეს-ასწორებდა, მაგრამ როცა ანგარიშის დრო მოვიდა, ალამ მარტო გროშები ღა არგუნა.

გიგოს გაუკვირდა და ალას ჰკითხა: „ასე ცოტა რათ მარგუნეო“?

— აი, შვილო, რათ გერგო ასე ცოტა—მშვიდათ უპასუხა ალამ, რაღაც დავთარი გადაუშალა და განაგრძო—ამდენისა და ამდენისა წაგილია ნისიათ ჩემის დუქნიდგან, ამდენით დაუჯარიმებიხარ ჩემ უფროსს ნოქარს, რადგანაც სამუშაოზე დაგიგვიანია, მაშასადამე, შვილო—უფრო ტკბილად დააბოლოვა ალამ—შენ გერგებოდა, სწორედ ამდენი, რამდენიც მოგეცი.

გიგო დაფიქრდა და რამდენჯერმე იანგარიშა დანახარჯავი, მაგრამ რადგანაც ხელში საბუთი არა ეჭირა რა, დაუმტკიცა თავის ალას, რომ იგი მოტყუებულია, გულ-მოსულმა ერთი ლაზათიანათ მიაფურთხა თავის ალას და ახლა სხვას დაუდგა მუშათ.

აქაც ულმერთოდ მუშაობდა, მაგრამ ანგარიშის დროს ისევ რაღაც გროშები ერგო.

„დასწყევლოს ღმერთმა! ვერ გამიგია საიდან, ან როგორ მდიდრდება ეს ხალხი?—ჰფიქრობდა გიგო—საიდან ყიდულობენ ამდენ მამულს, როგორ აგროვებენ ამდენ ფულს? ჩემისთანა მუშა მეორე არ მეგულება, მაგრამ ლამის შიმშილით სული ამომძვრესო“.

ბევრი იფიქრა გიგომ, ბევრი ადგილი გამოიცვალა, ბევრი ოფლი მოიწურა, ბევრი მწუხარება გამოიარა, მაგრამ ორიოდე გროშიც ვერ მოაგროვა.

— ამიხსენ ერთი, შენი ღვთის გულისათვის, როგორ გამდიდრდი? შეეკითხა ერთხელ გიგო ერთ მდიდარ კაცს.

ამ კაცს ყოველთვის თავი მოჰქონდა ხოლმე თავისის გამჭრიახობით და გიგოსაც ალოთ დახარდა.

— წინეთ, ჩემო ბიძია,—მარტო ხელით ხარაზი ვიყავ—დაიწყო მდიდარმა—და თუმცა არა მაკლდა რა, მაგრამ სიმდიდრე კი არა მქონდა. სიმდიდრე მაშინ შევიძინე, როცა ქარგლები ავიყვანე. ჯერ ერთი ქარგალი მყავდა, მერე ორი, მერე სამი, ბოლოს ორმოცდა ათ კაცსაც ვამუშავებდი და მაშინ ფულიც მოვიგე.

საკვირველია, რომ ფული მაშინ მოიგებია, როცა ბევრი ქარგლები გყოლია!—სიტყვა გააწყვეტინა გიგომ.

— აქ საკვირველი რა არის, შე სულელო!—გულიანად გადიხარხარა მდიდარმა—განა არ იცის, რომ რაც მეტს კაცს ამუშავებ, მით უფრო მეტი მოგება გრჩება? რაც უნდა უხეირო ქარგალი გყავდეს, წელიწადში ხუთი და ათი თუმნით ამაზე მეტს დაიმუშავებს, რასაც მე აძლევ? ქარგალს რომ წელიწადში სამას-ოთხასი მანეთი მისცე, ხუთასი მანეთისას მაინც დაიმუშავებს. ჩემი სახელოსნო, მაგალითად, წელიწადში სამი ათას თუმანს მაძლევდა, მე კი ნოქრებსა და მუშებზე მარტო ათას თუმანსა ვხარჯავდი, მაშასადამე ყოველ-წლივ ნაღდი ორი ათასი თუმანი მრჩებოდა.

— ააა! ახლა კი მივხვდი. როგორც მდიდრდება თურმე ადამიანი... ასი კაცის ნაშრომს ერთი იჯიბავს, გამდიდრდება მარა ჯანაბა იქ[illegible]—წაიბუტბუტა გიგომ და მდი[illegible] მოშორდა.

ამის შემდეგ გიგო სხვა მდიდართა ცხოვრებას დაუკვირდა და ყველგან იგივე ძარცვა-გლეჯა, მუშის გაყვლეფა და ყალთაბანდობა აღმოჩნდა.

„წყეულმც იყოს ეს ქალაქიც და აქაური სიმდიდრებიცაო! გაიფიქრა ერთ დღეს გიგომ, აიკრიფა გუდა-ნაბადი და ახლა სხვა ქალაქს მიაშურა. გზაზე ერთ სოფელში დაუღამდა და ღამის გასათევად ერთის გლეხისას დარჩა.

ჯერ რიგიანად გათენებული არც კი იყო, რომ გზირებმა მთელი სო-

---

*) როტა 100—120 კაცია.

*) პოლკში—თექვსმეტი როტაა.

*) ვლადიმირის გზა ციმბირში მიმავალ გზასა ჰქვიან გაციმბირებული ამ გზას ვერ ასცილდება.

ფული ფეხზე დააყენეს: გადასახადების ასაკრებად ბოქაული და მამასახლისი მოსულიყვნენ. გლეხებს ფული არ ამოაჩნდათ და საქონლის წართმევა დაუპირეს გლეხები ძალზე დადგნენ და კეტებს ხელი წაავლეს. ეშმაკმა და იმ ჟამად უღონო ბოქაულმა მაშინვე მღვდელთან აფრინა კაცი. „მოდი, მამაო, სოფელი დააშვიდეო". [illegible] ხუცესი ქაქანით მო[illegible]ივე წერილი დაზე, თვალები ზეცას [illegible]სიან [illegible] გლეხებს დარიგება და[illegible]:

— დიდი ცოდვაა, შვილნო, ამბოხება და მთავრობის წინააღმდეგობა...

— განა ის კი ცოდვა არ არის, რომ უიმისოდაც გალატაკებულ გლეხებს არჩობენ?—შეეკითხა გიგო და დაუმატა—მამაო, ხარსაც კი ერთი ტყავის მეტს არ აძრობენ და ამ საცოდავ გლეხებს კი მგონი ცხრაჯელ ატყავებენ.—შენ ჰკუაში, განა ეს კი ნაკლები ცოდვაა?

ხუცესმა ჯერ ზეცას შეხედა, ფაფარივით სქელი თმა შეირხია და მერე გიგოს წყრომით გადახედა.

—შვილო უსჯულოებისავ! განა არ იცი, შე ბრიყვო, რა სწერია სამღვთო წერილში: მიეცით კეისრისა კეისარსაო? ფულები მეფის გამოცემულია და რაც გლეხს ფულები აქვს ისევ მეფეს უნდა დაუბრუნონ.

— რატომ შენ არ უბრუნებ მეფეს შენ საკუთარ ფულებს, მგონი, შენ უფრო მეტი ფული უნდა გქონდეს?—შეეკითხა გიგო.

ხუცესი გაწითლდა, დაიბნა და პასუხი ველარ იპოვნა. გიგომ კი განაგრძო:

— შენა გგონია, რომ მეფე გლეხებს ფულებს მუქთად ურიგებს? რამდენი მწუხარება უნდა გამოიაროს საწყალმა კაცმა, რომ ერთი ორი გროში იშოვნოს? ხელმწიფე, რომ მუქთად არიგებდეს ფულებს, მაშინ უკანვე ინებოს...

მღვდელი კელავ სდუმდა, წვერებზე ხელს ისვამდა და სიტყვებს ვერ პოულობდა. ხალხი კი ხარხარებდა და სიამოვნებით იძახდა.

— ბარაქალა ბიჭო, ძაან არ გაჯორა ჩვენი ხუცესიო!..

ბოქაულმა ველარ მოითმინა და დაიყვირა.

— ვინ არის ეგ ბრიყვი, სასულიერო კაცს რომ მაგისთანა შეურაცყოფას უბედავს... დაიჭირეთ... შეჰკარით ეგ არამზადა!

გზირები დაფაცურდნენ, მაგრამ გიგო ხელიდან გაუსხლტათ, ღობეებს თავს გადაევლო და ვენახებში დაიმალა. ამ ჟამად კი გადარჩა ჩვენი გიგო, მაგრამ მეორე თუ მესამე დღეს გზაში შეეფეთა ისევ იმ ბოქაულს. ბოქაულმა იცნო იგი, დაიჭირა და პასპორტი მოსთხოვა.

გიგოს პასპორტი არ ალმოაჩნდა.

— მაწანწალა ყოფილხარ და ხალხსაც აჯანყებ!—დასჭყივლა ბოქაულმა, მერე რამდენიმე პრისტავული გააწნა ჩვენ გიგოს, ხელფეხი გაუკრა და ციხეში გაგზავნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაასამართლეს საბრალო გიგო და როგორც უპასპორტოს და მეამბოხეს ციმბირი მიუსაჯეს.

V

არ ვიცი ბევრი იარა თუ ცოტა დასავლეთით გამგზავრებულმა მეოთხე ძმამ—ტატომ მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამანაც კარგად დაინახა გლე-კაცის გაჭირვება, ნახა და შეიგნო რა უსინდისოთაც ავიწროვებენ და ჰყვლეფენ მემამულეები, მდიდრები დ მთავრობის მოხელენი მშრომელ ხალხს, გაიცნობ უსამართლო სასამართლოები და კარგად შეიგნო, რომ მხოლოდ უგუნურება და სიმხდალე აიძულებს ამდენ შევიწროვებულ და გაჭირვებულ ხალხს ისევე დაემორჩილოს თავის ბატონებს, როგორც ემორჩილება ძაღლი იმ პატრონს, რომელიც მას ყოველ დღე ჯოხითა სცემს.

შეეზიზღა ტატოს როგორც გაუმაძღრობა მდიდრებისა, ისე სიმხდალე ღარიბებისა და ალარ იცოდა სად [illegible]. ამ დროს ულრანი ტყით [illegible] შთის მწვერვალზე თვალი [illegible] დიდებულ მონასტერს. მისი [illegible] კედლები, მწვანე სახურავები და მოოქვრილი გუმბათები საოცნებზინავდნენ... შორით მოისმოდა ზარის ხმა, რომელიც მორწმუნეთ ამ მყუდრო სავანისაკენ იწვევდა.

ტატოს გულმა ტოკვა დაუწყო. „მოდი და შევალ ამ მონასტერში—აქ სცხოვრობენ წმინდა მამები... მუდამ დღე ევედრებიან შემოქმედს, არ იციან რა ხიბა ამ ქვეყანად, არ არის მათ შორის არც შული და არც მტრობა, არც შური და არც სიძულვილი... მომბეზრდა ქვეყნის ამაოების მზერაო"—გაიფიქრა ტატომ, პირჯვარი გადაიწერა და შეუდგა მონასტრის გზას.

მოწიწებით შევიდა იგი მონასტრის ეკლესიაში და სასოებისაგან გაინაბა. საყდარი ხალხით იყო გაჭედილი, ბერები გულ-მოდგინეთ ღალადებდნენ სანთლები ლაპლაპებდნენ, თვალ-მარგალიტით მოჭედილი ხატები კრიალებდნენ... საკმევლის სუნი მლოცველებს ნეტარების თავს-ბრუს ასხავდა...

— სამოთხეა, სამოთხე! ლუღლუღებდა ტატო და მალ-მალ პირჯვარს იწერდა.

წირვის გათავების შემდეგ, ტატო თავდახრილი მიუახლოვდა მონასტრის წინამძღვარს, ხელზე ეამბორა და უუმდაბლესად მოახსენა:

— ღირსო მამაო, ნება მიბოძე დავრჩე წმინდასა ამას სავანესა... მიმსახურეთ უღირსი მონა და ნუ უგულებელ-მყოფთ.

წინამძღვარმა ტატოს ვედრება შეისმინა და სენაკების დამგველათ დააყენა.

სიხარულისაგან ტატო ცას დაეწია. მიწაზე ფეხს არ აკარებდა და მზად იყო ბერების სენაკთა კედლებიც კი გადაეკოცნა, არამც თუ დაეგავა იგინი...

ერთხელ ტატომ რალაც ხმაურობას მოჰკრა ყური და შეჩერდა. გალავნის ერთ კუთხეში ორი ბერი ერთმანეთს ეჩხუბებოდა:

— გიჟი ხომ არა ვარ, ფულები გაგიყო... მარტო მე მომცეს!.. ამბობდა ერთი.

— შე შეჩვენებულო, შე ცრუ და მატყუარა, ალარ გახსოვს ჩვენი პირობა? აკი უნდა შუაზე გაგვეყო?—უყვიროდა მეორე.

— ნუ ხარ ავაზაკი და გაუმაძღარი... გროშსაც არ მოგცემ!.. გასკდი გულზე! აბრაზებდა პირველი ბერი მეორეს.

ტატოს ძალიან ეჩოთირა ბერების ასეთი კამათი და ერთ მოსამსახურეს ჰკითხა მათი ჩხუბის მიზეზი.

მოსამსახურეს გაეცინა ტატოს გულუბრყვილობაზე და ღიმილით უთხრა.

— აქ, ამ მონასტერში ერთი სასწაულთმომქმედი ხატი და ვილაც წმინდანის ნეშთი გვაქვს... როცა ბევრი ხალხია, გვიან მოსულნი მლოცველთა სიმრავლის გამო ველარ მიაღწევენ ხოლმე ამ ხატამდის, რომ ან სანთელი აუნთონ, ან ყულაბაში ფული ჩააგდონ და ფულს ბერებს გადასცემენ ხოლმე აი, ამ ორმა ბერმა პირობა დასდეს: ერთმა აგროვოს სანთლის ფული, მეორემ კი ყულაბაში ჩასაგდები და მერე შუაზე გაიყონ. როგორც ეტყობა დღეს მამა ექვთიმეს უფრო ბევრი მოუგროვებია, ვიდრე მამა დოსითეოსს დ ახლა ერთმანეთსა სჭამენ.

ტატო განცვიფრდა, გაშრა და ვიდრე გონზე მოვიდოდა უარესი რამ დაინახა: ბერები ყოჩებივით ეცნენ ერთმანეთს. მამა დოსითეოსი უფრო ღონიერი გამოდგა, ამოიდო ქვეშ მამა ექვთიმე, ჯერ კარგა დაბუბნა, მერე ჯიბიდან ფულები ამოაცალა და გაიქცა. ძალზე ნაცემი ექვთიმე ზეზე წამოვარდა, დაავლო ვეებერთელა ქვას ხელი და გაქცეულ დოსითეოსს შიგ ბეჭებში სდრუზა...

ამის დამნახველი ტატო წინამძღვართან მივიდა და გულმტკივნეულად ყველაფერი უამბო.

— რაზე მაწუხებ, შვილო ჩემო, მაგ უბრალო რამისთვის,—ვერა ხედავ დაღალული ვარ და მოსვენება მჭირია? ვიდოდე მშვიდობით!—წყენით უთხრა წინამძღვარმა და ტატოს კარები უჩვენა.

ტატო თავჩაღუნული გამობრუნდა უკან და თან ფიქრობდა:

— ბერების ასეთი ქცევა თუ უბრალოა, ბრალიანი რაღა უნდა იყოსო.

წინამძღვარმა დოსითეოსი და ექვთიმე მაინც მიიხმო, ლაზათიანად შეთათხა და უთხრა:

— თქვენი აგრეთი საქციელი ჩვენ მონასტერს სახელს გაუტეხს... ფულები აილეთ, მაგრამ მეორედ კი ალარ იჩხუბოთო.

წინამძღვარიდან დაბრუნებულმა ბერებმა მგელივით შეუბღვირეს ტატოს და კბილები დაუკრაჭუნეს: „გვაცადე, შე, ძაღლის ლეკვო, დაბეზღება როგორც უნდა, ჩვენ გიჩვენებთო".

ტატოს ცივმა ოფლმა დაასხა.

საღამოს ჟამს ტატო სენაკების დერეფნის დასაგველად წავიდა. დერეფანი შუაზე იყო თუ არა, აქეთ-იქით მოთავსებული სენაკებიდან საშინელი ხმაურობა და ღრიანცელი მოისმოდა. ერთ სენაკში მღეროდნენ, მეორეში—იგინებოდნენ, მესამეში—ქიდაობდნენ. ტატოს გულმა ველარ გაუძლო კარების ჭუჭუტანიდან ერთ სენაკში შეიხედა. სენაკის შუა იდგა გრძელი მაგიდა, მაგიდაზე ელაგა ხორაგი და დიდი ბოთლით არაყი, გარს შემოსხდომოდნენ ბერები და სასმლისაგან აწითლებული, გადალეკილი მოლოზნები ერთი ბერი გიტარას უკრავდა, მეორე ლეკურს უვლიდა, მესამე მოლოზანს ეხვევოდა...

ბერების ასეთი უწესოება რომ დაინახა, ტატეს კინაღამ დამბლა არ დაეცა.

აქ დგომა ალარ შეიძლება. აქ მონასტერი კი არა, სამიკიტნო ყოფილა, მაგრამ ცოტას კიდევ მოვიცდი და ვნახავ ხალხს, მლოცველებს: როგორღა ატყუებენო—გაიფიქრა ტატომ და გული გაიმაგრა.

ერთხელ ტატო სასეირნოდ გამოვიდა და ხევ-ხევ ყიალი დაიწყო. ამავე ხევში დადიოდა ერთი ბერი და კენჭებს აგროვებდა.

— რას აკეთებ, მამაო? შეეკითხა ტატო.

— კენჭებს ვაგროვებ.

— მერე რად გინდა?

— რა შენი ჭკუის საქმეა!—გაუჯავრდა ბერი და გაშორდა.

მეორე დღეს მონასტრის დღეობა იყო ბერები დილიდანვე დიდ მზადებაში იყვნენ. მლოცველებმაც ალიონიდანვე დაიწყეს მოსვლა მონასტრის უზარმაზარი ეზო ხალხით გაივსო. ზარების რეკვა, ბერების ღალადი და მლოცველთა მოწიწებითი ვედრება დიდებული სანახავი და მოსასმენი იყო.

წირვაზე მდგომი ხალხი უცბად შეირხა, და მუხლებზე დაეცა. ზოგიც პირქვე დაემხო და ბღავილი მორთო:

— დაილოცა მაგის დიდება თა ძლიერება. ტირის, ტირის! ვენაცვალეთ მაგის სახელს!

ტატო ჯერ განცვიფრდა, მერე როცა გაიხედა იმ კუთხისაკენ, სადაც ერთ ხატს თვალებიდან წყალი გადმოსდიოდა, გაახსენდა, რომ ამ დილით ბერები რალაც-ს ცოდვილობდნენ და ამ ხატის უკან, ტრაპეზის მხრით, სველ ღრუბლებს აწყობდნენ... ტატო მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ხატის ტირილი ბერების ოინები იყო.

ღმერთო, რა თვალთმაქცები ყოფილანო! გაიფიქრა ტატომ და ჯერ რომ მეტი ვერა მოახერხა, საყდრიდან გარეთ გამოვარდა.

მონასტრის ეზოში, აყარებულ მლოცველთა შორის, ჩამდგარიყო ის ბერი, რომელიც წინა დღით ხევში კენჭებს აგროვებდა, გულ-ამოსკვნით სტიროდა და თან მოსთქვამდა:

— მას ჟამსა შინა, ოდეს ჯვარს აცვეს მაცხოვარი ჩვენი მთასა მას გოლგოთისასა, მუნვე იყო უბიწო დედა მისი მარიამი და მწარედ სტიროდა, და მოავლინა უფალმა სასწაული თვისი უებრო სადიდებელად ძისა თვისისა: ცრემლნი ღვთისმშობლისა მიწასაზედან დასხეულნი, კენჭებათ გარდაიქმნა და დღეის-დღემდე ინახებიან წმინდასა მას ადგილსა. ოდეს მე, ყოვლად ცოდვილმა და უღირსმა მონამან მოვიხილე ქალაქი იერუსალიმი და ღირს ვიქმენ ყოფად გოლგოთასა ზედა, მოვკრიბე ცრემლები, იგი ღვთისა მშობლისა. ცრემლები ესე მრავალ გზით გაჰკურნებდის სნეულთა და მწუხარეთა. იყიდოდეთ, მართლმადიდებელნო, საოხად სულთა თქვენთა".

ამის გამგონე მლოცველები ერთიმეორეს ეზიდებოდა და თითო შაურად ყიდულობდა იმ კენჭებს, რომელიც მატყუარა ბერმა გუშინ ხევში აჰკრიბა.

ახლა კი ველარ მოითმინა ტატომ! შედგა მაღლობ ქვაზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუყვირა.

— გატყუილებთ ეგ საზიზღარი ბერი. ეგ კენჭები აქვე ხევში მოაგროვა... ხატსაც ბერებივე ატირებენ... უკან წყლით გაჟღენთილი ღრუბლები აქვს ჩაწყობილი; ხატს თვალის ადგილები დახვრეტილი აქვს... ნუ სტყუვდებით, ნუ...

ტატოს კიდევ რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ ალარ დააცალეს. რამდენიმე ბერი აფთარივით მივარდა ტატოს, პირზე ხელი დააფარეს და თან ჰყვიროდნენ:

— ღმერთო, ნუ უწყენ უსჯულოსა ამას, ღმერთო, აპატიე შეცდომებანი მისნი!..

— უსჯულონი, მატყუარები თქვენა ხართ!..—ლუღლუღებდა ბერებისაგან შებოჭილი ტატო, მაგრამ ეს სიტყვები ბევრს ალარ გაუგონია. ტატო ციმ-ციმ ასწიეს და ერთ სენაკში შეამწყვდიეს. მეორე დღეს კი მთავრობას წარუდგინეს. რამდენიმე თვის შემდეგ ტატო გაასამართლეს და ღვთის გმობისთვის ციმბირი გადაუწყვიტეს.

VI

შიდა რუსეთიდან ციმბირისაკენ მიდის სახელგანთქმული, განიერი და დაუსრულებელი გზა, რომელსაც ვლადიმირის გზა ეწოდება. ეს გზა ყოველთვის მოწამეა იმ უბედურებისა, იმ ტანჯვა-შევიწროვებისა და დამცირებისა, რომელსაც განიცდიან ხოლმე თავის საყვარელ სამშობლოსა და ცოლშვილს მოწყვეტილი გაციმბირებულნი. ვინ მოსთვლის რამდენი ცრემლი შეუშვრია ამ გზას, ვინ აღნუსხავს რამდენი ოხვრა და კვნესა სმენია ამ გზის მიდამოებს იმ უბედურთა გულიდან ამოხეთქილი, რომლებიც სამუდამოდ ეთხოვებიან ხოლმე თავისს ქვეყანას. მუდამ დღე და ყოველ ჟამს ათასობითა და ათი-ათასობით დაბორკილი ტუსაღი სტკეპნის ამ გზას და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იჟღარუნებს ბორკილები ამ გზაზე... ნუ თუ ბოლო არ მოეღება ხალხის ტანჯვას? ნუ თუ დაუსრულებელი ოხვრა და კვნესა, შეუშრობელი ცრემლი გაციმბირებულთა და მათის ნათესავებისა ოდესმე მაინც არ წალეკავს ხალხის მტარვალებს? ოხ ღმერთო, სადა ხარ?

ერთ დღეს, ვლადიმირის გზაზე მტვერი ავარდა და პატარა ხანს უკან გამოჩნდა მთელი გუნდი ფეხით მომავალ დაჯაჭვულ და ჯარის კაცებით გარეშემორტყმულ ტუსაღებისა. მოდიოდნენ დაღალულნი, გამტვრიანებულნი, გამხდარნი, დაავადმყოფებულნი! რუსეთისა და ციმბირის სამზღვარზე აგებულ ტუსაღთა მოსაგროვებელ ციხეში ამ ტუსაღებმა უკანასკნელად დაიბერტყეს სამშობლოს მტვერი და საცოდავად მოიბღუძნენ. ყველა ტიროდა, ყველას გული უკვდებოდა და სული ეხუთებოდა, რომ სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდნენ საყვარელ სამშობლოს ჰაერსაც კი. არა სტიროდა მხოლოდ—ერთი ოთხგანი—უფროსი ძმა პეტრე. თუმცა მწარე ფიქრებს კი შეეპყრო და ძმების ჯავრი გულზე ლოდივით აწვა...

აგერ გამოჩნდა მეორე ეტაფიც. ამ ეტაფით მოიყვანეს მეორე ძმა ტიმოთე. ძმას ძმის ნახვამ ცოტათი გული უპოვნა და ორივემ ახლა კი ცრემლით მოიოხეს გულის ნადები.

მესამე და მეოთხე ეტაპს მოჰყვნენ გიგო და ტატოც.

ერთმანეთის ნახვით გახარებულ ძმებს თითქოს იმდენი საჯავრელი არა ჰქონდათრა, მით უმეტეს რომ სამშობლოში თავისიანი ალარავინ რჩებოდათ, მაგრამ როცა ერთმანეთის თავგადასავალი მოისმინეს, როცა შეიტყეს რომ რუსეთში საწყალ კაცს არსად არ ეცხოვრება, უფროსმა ძმამ—პეტრემ—უთხრა დანარჩენებსრ: „ძმებო! სირცხვილიც არის, რომ ციმბირში დავსახლდეთ და მის გაყინულ წიაღიდან მეფის ხაზინის გასამდიდრებლად ოქრო და ვერცხლი ვთხაროთ. განა არწივს რკინის გალია შეშვენის, ან მებრძოლ ვაჟკაცს ციხის კედლები შეაშინებს? ჩვენც დავიმსხვრიოთ ფეხის ხუნდები, გავიქცეთ აქედან, ისევ მოვედვათ ჩვენის სამშობლოს ოთხივ კუთხეს, მოვიაროთ სოფელ-ქალაქები და ამღგზნებელის ხმით შევძახოთ გლეხებს, მუშებს, ყველა ჩაგრულთა და უმწეოთ: „აღსდეგით, თქვე მხდალებო, მხდალებო თქვე უგუნურნო, თქვენი ძალა უძლეველია, წელში გასწორდით, დარაზმდით და ერთ დღეს გაანადგურებთ თქვენ მტარვალებსათქო".

პეტრეს სიტყვებმა დანარჩენი ძმები გაამხნევა. ისინიც სწორედ ასე ფიქრობდნენ და უკეთეს მომავლის მოტრფიალეებმა მოილხინეს, სიმღერა შემოსძახეს. სულ რამდენიმე დღე არ გასულა, რომ ძმებმა სიტყვა საქმედ აქციეს: ერთ ღამეს დარაჯებს გაეპარნენ.

იმ დღეს აქეთია ეს ოთხივე ძმა გარშემო უვლის მთელ რუსეთს და დიდსა თუ პატარას, ყველას მტარვალებთან საბრძოლველად იწვევენ.

დღეს თუ არა ხვალ მაინც, ჩვენი ტანჯული სამშობლოც შეიგნებს მათ სწავლას, აღსდგება, დაირაზმება, დასჭექ-დაჰქუხავს და ყველა თავის მჩაგვრელს მტვრად აქცევს, გაანადგურებს...

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისისა).

ტფილისიდან გადის:				
ბათომისაკენ	საფ.	№ 3,	11.06	დილ.
	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
„		№ 17,	8.19	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.48	დღის
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4.3	11.13	საღ.
თელავისკენ		№ 4,	8.58	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათომიდან	სამგზ.	№ 10,	8.38	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„		№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.13	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, შარდსადენის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 437

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი ფერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი, გულისა, ფილტვებისა და ხიხნის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 86, მეორე სართული. 1059

ექიმი ქალისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს 1½—8½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—82.

ექიმი
ლ. დ ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

დოქტორი მედიცინის
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილ
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპ
ბავშვთა, შინაგან და ქირურ
სნეულებათ ავადმყოფებს იღებს
საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილ
ორდინატორად ნამყოფი კიევის
ვების კლინიკაში. იღებს ნერვ
ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამ
6—7 საათამდე, კვირა დღის გარ
ყურის მოედანი, ექიმი სობოლ
კის სახლი. იქვე გამართულია
ტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ტელეფონი 5—54. 108

ექიმი
ქ. ი. გვარჯალაძ
შინაგან და ბავშვთა სნეულებ
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე
დამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარ
კლინიკის ქუჩა № 4. სასტუმ
ვარცელის გვერდით ტელეფ. 15—0
1008

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძ
იღებს საბებიო დ საშვილოსნოს ავად
მყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართ
პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმი
პავლე არდაზიან
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინა
გან ავადმყოფთ, დილის 7—8 ს., მე
ლიქოვის ქ. 12, 9 უბანი. წარბთა დ
სხვერპლ. დაზარალებულთა რიგვა უფა
სოა. 2040

ექიმი
შ. ა. მიძელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნე
ლებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღა
მოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროს
პექტი № 171.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ხიდის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
ექიმნი:
11—12 ს. „606" და „914"
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქი
რურგიული და ვენერიული (სიფილის
ავადმყ.).
ბ. [illegible]: 9—[illegible] ს. ბავშვთა
შინაგანი ავადმყ.
ვ. [illegible]: 10—12 ს. [illegible]
ხა, [illegible] და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. [illegible]: 6—7 ს. [illegible]
ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა
თვის უფასოდ, [illegible] და [illegible]
რაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
დოქტორი ა. ა. ნავასარდიანი.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქ., საკ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" **ხიზილალა**. მიიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები**. მუდმივ გვაქვს **ცოცხალი**. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი**, **თართი**, **ფარგა** და **ლოქო**. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება. 1035

სუსუნატით (ჭოლორჯა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „**რეზუროლინი**", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ ხუხუნატს** საშარდე ბუშტისას ჰაჭებისას და სხვ.
საშუალება ერთნაირათ ნაცადია როგორც ვაჟებზე ისე ქალებზედაც. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, დაამტკიცა რომ
რეზუროლინი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენათ ავადმყოფობისა ღირს 35 მან. 50 კ. ნახევარი კურსი 21 მანეთი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიჟის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**
За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1.** на противъ Государственнаго Банка.

სტამბა „სახალხო ფურცელი" მარჯანიშვ., სახლი № 14.